გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.
ოთხშაბათი, 30 ნოემბერი, 2005 წელი.
№277 (5310)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ხალხის სიცოცხლეა, ცრუპენტობით და ჩქარობით ხელის გაცანა ყოვლად უკადრისობაზე უსამართლოა.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## „ერთხელ დაბლაც ჩამოდი“...



იხ. მე-4 გვ.

— ბატონო პრეზიდენტო, — ნურავის დაუჯერებთ, საკუთარი თვალების გარდა! ხალხში გასვლა არ გაკლიათ, ოღონდ, ვინ არის ის ხალხი, დაოსებამდე „მიშა“, „მიშას“ რომ გაიძახის? ნუთუ წარსულის მწარე გამოცდილება მხოლოდ იმისთვის გჭირდებათ, რომ წინამორბედთა შეცდომები გაიმეოროთ? დიახაც რომ, უნდა შეხვდეთ ხალხს, მაგრამ იმათ კი არა, ვისაც წინასწარ ამზადებენ, ცოტა-ცოტა ფულსაც აძლევენ და სხვა რამესაც, არამედ იმათ, ვინც დღედაღამ თავწახრილი მუშაობს, რათა შვილებს ლუკმა-პური მოუპოვოს. აი, ვის თვალებში ჩახედვა გეტყვით სიმართლეს!

## რომელი აუდიტი დაითვლის კობა ბექაურის ქონებას?



იხ. მე-2 გვ.

## მიხეილ სააკაშვილი ხვალ უკრაინაში მიემგზავრება

საქართველოს პრეზიდენტი პირველ დეკემბერს უკრაინაში მიემგზავრება.

მიხეილ სააკაშვილი „დემოკრატიული არჩევნების თანამეგობრობის“ დამფუძნებელ ფორუმს დაესწრება, რომელიც კიევში 2 დეკემბერს გაიმართება.

ფორუმში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი არიან უკრაინისა და საქართველოს რეგიონული პარტნიორები აღმოსავლეთ ევროპიდან, შავი ზღვისპირეთიდან და ბალტიისპირეთიდან.

ფორუმში მონაწილეობაზე საქართველოს პრეზიდენტის გარდა ოფიციალური თანხმობა განაცხადეს ლიტვის, ესტონეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, მაკედონიისა და უნგრეთის პრეზიდენტებმა. სტუმრის სტატუსით ფორუმს დაესწრებიან გაეროს, ეუთოს, ევროკავშირის და ნატოს წარმომადგენლები, ასევე ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი.

„დემოკრატიული არჩევნების თანამეგობრობა“ არის ახალი ევროპული დემოკრატიების თავისუფალი კოალიცია, რომელიც მოწოდებულია, გაათავისუფლოს ბალტიის, შავი, კასპიის ზღვების რეგიონი გამყოფი ხაზებისაგან, ადამიანთა უფლებების დარღვევისგან და კონფრონტაციის ნებისმიერი სხვა გამოვლინებებისგან.

ინტერპრესნიუსი

## რალი და „შერემონტებული“ ავტორიტეტი



იხ. მე-3 გვ.

არ ვიცი, ახლა, ორი წლის შემდეგ რას ამბობს მეწისქვილე. ერთი კი შემიძლია, დაბეჯითებით ვთქვა — უკმაყოფილოთა რიცხვი თანდათან უფრო და უფრო იზრდებოდა. (თუმცა, გულმხურვალე მხარდამჭერებიც ჰყავს სამეგრელოში მიხეილ სააკაშვილს). არც — ერთი, არც — ცხრა და არც ოცდაოთხი თვე ეყო იმ „ბავშვის“ დაბადებას, ხელისუფლებისგან რომ მოელოდა ხალხი.

რალი კი მართლა გაიმართა. სულზე მიუსწრო ასფალტმა ხელისუფლებას. ახალმა გზამ პრეზიდენტის ავტორიტეტი კი „შეარემონტა“, მაგრამ არავინ იცის, რამდენი ხნით.

## „წყალი რად გინდათ, ღვინო დალიეთ(?!)“



იხ. მე-4 გვ.

ვარკეთილელები ხუმრობენ, კახეთთან ახლო ვართ, წლეულს კი კახეთში ყურძნის კარგი მოსავალი იყო, ჰოდა, წყალი რად გვინდა, ბარემ ნაღდი ღვინო ვსვათო.

საინტერესოა, „თბილწყალკანალშიც“ ასე ხომ არ ფიქრობენ?

## ⊙ ინფორმაცია

### ბელგია მხარში გვიდგას

ბრიუსელში ვიზიტად მყოფი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ბელგიის სამეფოს პრემიერ-მინისტრს გიუ ვერჰოვტდატს შეხვდა. შეხვედრაზე მიღწეულია შეთანხმება საერთაშორისო ორგანიზაციაში თანამშრომლობისა და ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების თაობაზე.

ბელგიის პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელს მხარდაჭერა აღუთქვა ნატოსა და ევროკავშირთან დაახლოების პროცესში, ასევე სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო პროცესის განხორციელებისას.

ზურაბ ნოღაიდელმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ბელგიის გამოცდილება ერთიან სახელმწიფოში სხვადასხვა ეთნოსთა თანაცხოვრების თვალსაზრისით.

ბრიუსელში ვიზიტად მყოფი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ასევე შეხვდა ევროპარლამენტის თავმჯდომარეს იოსებ ბორელ ფონტელესს.



როგორც შეხვედრაზე ფონტელესმა განაცხადა, ევროპარლამენტი აქტიურად დაუჭერს მხარს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას, ეკონომიკური რეფორმების შემდგომი გაღრმავებისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პირობით.

### დღეს ესტონელები გვეწვევიან

საქართველოს პარლამენტს დღეს ესტონეთის პარლამენტის საკონსტიტუციო კომიტეტის დელეგაცია ესტუმრება.

ესტონეთის პარლამენტის კომიტეტი პირველ შეხვედრას საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტთან და მის თავმჯდომარე ელენე თევდორაძესთან გამართავს.

ხვალვე იგეგმება შეხვედრები იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრებთან, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან“ და სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვან საქართველოსთან“

ესტონეთის საპარლამენტო კომიტეტის წევრების ვიზიტი საქართველოში ოთხდღიანი იქნება. კომიტეტის წევრები შეხვდებიან აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში, უშიშროების საბჭოს მდივანს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

* * *

საქართველოში 6 დეკემბერს ესტონეთის პარლამენტის თავმჯდომარის ენე ერგმას ვიზიტი დაიწყება. ესტონეთის პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი ოთხდღიანია.

ის თბილისის ძველ უბნებსა და სამების საკათედრო ტაძარს დაათვალიერებს, 7 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს შეხვდება.

დაგეგმილია ენე ერგმას გამოსვლა საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, აგრეთვე იგეგმება მისი შეხვედრები საპარლამენტო ოპოზიციასთან.

ესტონეთის პარლამენტის თავმჯდომარე ენე ერგმა საქართველოდან 10 დეკემბერს გაემგზავრება.

ინტერპრესნიუსი

## ⊙ პანორამა

აფეთქებები ბანგლადეშის სასამართლოებში: დაიღუპა 6 და დაიჭრა 20 კაცი. პირველი აფეთქება მოხდა ჩიტაგონგის მთავარი სასამართლოს მახლობლად. დაიღუპა ორი პოლიციელი და კამიკაძე-ტერორისტი. მეორე აფეთქების ხმა კი გაისმა გაზიპურში. დაუდგენელმა პირმა ბომბიააფეთქა სასამართლოს ბიბლიოთეკაში, სადაც მდებარეობდა ადვოკატებისთვის განკუთვნილი სპეციალური ოთახი.

* * *

ბაღდადში გაიტაცეს გერმანიის მოქალაქე. ერაყის დედაქალაქში „არდ“ ტელეარხის ბიურომ მიიღო ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ამ ქალბატონის გამტაცებლები მოითხოვენ, რომ გერმანიის მთავრობამ შეწყვიტოს თანამშრომლობა ერაყის ხელისუფლებასთან. უარის შემთხვევაში, ტერორისტები იმუქრებიან, რომ მოკლავენ მძევალს.

* * *

შეერთებულ შტატებში ქარბუქის გამო დაკეტილია ასობით კილომეტრი საავტომობილო ტრასები. სამხრეთი დაკოტის, ნებრასკის და კანზასის შტატებში, უამინდობით გამოწვეული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად დაიღუპა ოთხი კაცი. კიდევ ერთი ადამიანი დაიღუპა არკანზასის შტატში — მისი მანქანა ტორნადომ აიტაცა.



## შამბამ აღიარებითი ჩვენება მომცა, —



აცხადებს ექსპერტი აფხაზეთის საკითხში პაატა დავითაია

იხ. მე-3 გვ.

## ⊙ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

### იგორ გიორგაძე: „ჩვენ გვსურს საქართველო მივიყვანოთ ვადამდელი არჩევნების მდგომარეობამდე“

გასულ კვირას რუსეთის დედაქალაქში გაიხსნა იგორ გიორგაძის პარტიის „სამართლიანობის“ მოსკოვის წარმომადგენლობა. საქართველოს ყოფილი სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, ამჟამად ძებნილი იგორ გიორგაძე ვირტუალურად ესწრებოდა პარტიის ოფისის გახსნას. მაგრამ მის მიერ ტელეფონით გაკეთებულმა განცხადებამ შეიძლება სერიოზული შეშფოთება გამოიწვიოს საქართველოს ამჟამინდელ ხელმძღვანელობაში. გიორგაძე საქართველოს უწინასწარმეტყველებს ვადამდელ პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნებს. თავისი პოლიტიკური პროგნოზების შესახებ გიორგაძე ესაუბრა „იზვესტიის“ მიმომხილველს ელენე ლორიას.

იხ. მე-7 გვ.

## კმაყოფილებით აღვიქვით და მზად ვართ

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის წერილი მიხეილ სააკაშვილს

## უღირსი ორდენი?

იხ. მე-8 გვ.

## რიყე დიდი არქიტექტურული ზეიმის ღირსია!



სტიქიურობიდან – სრულ ანარქიაში

იხ. მე-3-4 გვ.

## ნაბან წყალს „ბავშვს“ ნუ გადავაყოლებთ...

### ბიუჯეტის შევსებისთვის, დიახაც, უნდა ვიზრუნოთ, ოღონდ – ცივილიზებულად

**კაცმა რომ თქვას, რესტორნების გუშინწინდელი დაკეტვა-დალუქვით ახალი და მოულოდნელი არაფერი მომხდარა.** გვახსოვს, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ რა ხმაური მოჰყვა „ნიკალას“ შტურმს, ნიღბებისა და ავტომატების თანხლებით რომ განხორციელდა და რესტორანში სულის მოსაოხებლად მისულ ხალხს შიშის ზაფრა დასცა. საბედნიეროდ, ამჟამინდელი რეიდი „უშბაში“, „მეიდანში“, „მელომანში“, „დედა ზოიაში“, „თეთრ სახლში“, „თაბორში“ და კიდევ სხვა ცხრა რესტორანში უნიღბოდ და უავტომატოდ მოეწყო, მაგრამ პირველ და მეორე შემთხვევაშიც პოლიციელებს ან მხედველობიდან გამორჩათ, ან, სულაც ფეხებზე დაიკიდეს მომხმარებლის ინტერესი — „მიზანი ამართლებს საშუალებას“....



იხ. მე-2 გვ.

◉ რა ხდება „ოპიზაში“...

# რომელი აუდიტი დათვლის კობა ბექაურის ქონებას?

**საბაჟო ტერმინალ „ოპიზაში“ დეპუტატების ბიზნესინტერესების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია პარლამენტარ კობა ბექაურის ქონებრივი დეკლარაციის აუდიტს მოითხოვს.**

როგორც კომისიის თავმჯდომარემ ფრიდონ რუხაიამ გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, კომისიას უჩნდება კითხვა, ხომ არ არის ბექაურის მიერ დეკლარაციაში მითითებული ქონება დაუსაბუთებელი?

სხდომაზე კომისიის წევრმა, „მემარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენელმა გიორგი ცაგარეიშვილმა სამშენებლო ფირმების მიერ კობა ბექაურთან და სხვა მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შედარებითი ანალიზის ჩატარება მოითხოვა.

ცაგარეიშვილის განცხადებით, კომისია უნდა დაინტერესდეს, ბექაურის მიერ მშენებარე ბინების შესყიდვის დროს ხომ არ ჰქონდა ადგილი სამშენებლო ფირმების მიერ თანამდებობის პირისთვის შეღავათების დაწესებას.

გარდა ამისა, „მემარჯვენეების“ წარმომადგენელი მოითხოვს, გაირკვეს რა სახსრებით შეიძინა კობა ბექაურმა რამდენიმე ძვირადღირებული ავტომანქანა.



პარლამენტარ კობა ბექაურის მიერ 2005 წელს შევსებულ დეკლარაციაში მითითებულია, რომ ერთი წლის განმავლობაში მან ორი ძვირადღირებული ავტომანქანა და 100 ათას ლარად ღირებული ორი მშენებარე ბინა შეიძინა.

* * *

**საბაჟო ტერმინალ „ოპიზასა“ და დეპუტატების კავშირის საკითხზე შექმნილი დროებითი საგამოძიებო კომისია პარასკევს სტუდია „რეპორტიორის“ ჟურნალისტებს ბელა ზაქაიძესა და ვახტანგ კომახიძეს გაესაუბრება.**

დროებითმა საგამოძიებო კომისიამ გუშინ სტუდია „რეპორტიორის“ მიერ მიწოდებული ვიდეო-ფირზე აღბეჭდილი ფილმი საჯაროდ ნახა.

**საკუთარი ინფორმაცია**

◉ წერილი

# კმაყოფილებით აღვიქვით და მზად ვართ

**რედაქციამ გუშინ მიიღო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ რამაზ ხუროძის წერილი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისადმი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:**

**ბატონო პრეზიდენტო,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლობამ და სტუდენტობამ კმაყოფილებით აღიქვა ქ. ზუგდიდში გამოსვლისას თქვენს მიერ ჩამოყალიბებულ სამომავლო პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის პროფესიული განათლების აღორძინებისადმი განსაკუთრებული ყურადღება.

ჩვენ მივესალმებით პროფესიული განათლების ცენტრების გახსნის იდეას და მიგვაჩნია, რომ სწორედ ასეთი ცენტრების შექმნით არის შესაძლებელი ახალგაზრდა პროფესიული კადრების მომზადება სამშენებლო საქმეში, ელექტროტექნიკაში, კავშირგაბმულობაში, საშემდუღებლო თუ სხვა უაღრესად საჭირო დარგებში, რაზედაც სულ უფრო იზრდება მოთხოვნილებები ქვეყნის ბაზარზე. თქვენს მიერ ჩამოყალიბებული ეს იდეა წარმატებით შეიძლება განხორციელდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რეგიონულ ფაკულტეტებზეც. მით უფრო, რომ რეგიონებში სამრეწველო საწარმოები მწვავედ განიცდიან ახალგაზრდა პროფესიული მომზადების მქონე კადრების ნაკლებობას.

ტექნიკურ უნივერსიტეტს თავისი გამოცდილებითა და რესურსებით, სასწავლო პროცესში დანერგილი უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით ხელეწიფება ჩამოაყალიბოს საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე სასწავლო პროგრამები, უმაღლესი პროფესიული განათლების სხვადასხვა პროფილის მიმართულებით.

ჩვენ მზად ვართ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთობლივი ძალისხმევით სათავეში ჩავუდგეთ ამ საშვილიშვილო საქმის განხორციელებას, რაც უთუოდ დიდად წაადგება ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების, აღმშენებლობისა და ახალგაზრდობის შრომითი დასაქმების მეტად საჭირო პრობლემის გადაწყვეტას.

◉ საბაჟო კოდექსი

# ტრანზიტული ტვირთები არ უნდა შემცირდეს!

**ტრანზიტის დროს ფინანსური გარანტიის მოთხოვნა ტვირთებს შეამცირებს.**

ამის შესახებ განცხადება გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის სხდომაზე „მემარჯვენე ოპოზიციის“ წევრმა ირაკლი იაშვილმა გააკეთა.

ახალი საბაჟო კოდექსი ითვალისწინებს ტრანზიტულ ტვირთებზე ფინანსური გარანტიის წარმოდგენის მოთხოვნას, რაც, ფაქტობრივად, საქართველოში ტრანზიტის შეზღუდვას ნიშნავს.

— ჩვენ ვართ საერთაშორისო კონვენციების წევრები, რომლებიც ტრანზიტის შეზღუდვას ქვეყანაში კრძალავენ. გერმანიიდან უზბეკეთში ტვირთის ტრანზიტის დროს საქართველოს ფინანსური გარანტია რაში უნდა სჭირდებოდეს, ჩემთვის გაუგებარია,— განაცხადა იაშვილმა.

როგორც პარლამენტარმა ჟურნალისტებს განუცხადა, იგი საბაჟო კოდექსის განხილვაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს და პროექტთან დაკავშირებით სხვა მრავალ შენიშვნასაც დააფიქსირებს.

◉ სიტუაცია

# ნაბან წყალს „ბავშვს“ ნუ გადავაყოლებთ...

## ბიუჯეტის შევსებისთვის, დიახაც, უნდა ვიზრუნოთ, ოღონდ – ცივილიზებულად

(პირველი გვერდიდან)

ფაქტს ვერ გაექცევი — მოსახდენი მოხდა. გვახსოვს, ერთ დროს როგორი ინტენსივობით ლაპარაკობდნენ კაზინოებზე, ბაზრობებზე, საიდანაც ბიუჯეტში ძალზე უმნიშვნელო თანხები შედიოდა. ის „ფაფხური“, უნდა ვაღიაროთ, უშედეგო გამოდგა — კერკეტი კაკალი ვერავინ გატეხა. აი, რესტორნები უფრო ადვილად „მოჰყვნენ ხელს“, ვითომ „კრიშები“ აღარ ჰყავთ?

**ჩვენ აქტიურად ვუჭერთ მხარს ყველა ღონისძიებას, რომელიც სახელმწიფოს გაძლიერებისკენ არის მიმართული. ამ სიძლიერის ქვაკუთხედი ბიუჯეტია. თუ ბიუჯეტი არ შეივსება საჭირო და აუცილებელი სახსრებით, არც სახელმწიფოს მშენებლობაზე შეიძლება ლაპარაკი.** დღეს ბიუჯეტის კმაყოფაზე გალაღება მოდად იქცა — ბიუჯეტს ძიძგნის დიდიც და პატარაც, პოლიტიკოსიც და ბიზნესმენიც, მით უმეტეს, თუ საკანონმდებლო ბაზა ამის საშუალებას იძლევა. ჩვენთან რობთ, მათი პასუხისმგებლობის საკითხი უეჭველად უნდა დადგეს.

ფინანსური პოლიციის ეს ღონისძიებაც მოუფიქრებელი ხომ არ იყო? მოუფიქრებელი და ნაჩქარევი თუნდაც იმიტომ, რომ მან არ (ან ვერ) გაითვალისწინა რესტორნის მომხმარებელთა ინტერესები. **არავინ იცის, იმ დღეს რამდენს ჩაეშალა ქორწილი, ძეობა, დაბადების დღე, ჭირის სუფრა... არადა, რაც აქ ჩამოვთვალეთ, ჩვენი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. უამისოდ ადამიანური ურთიერთობები კვდება, უფრო მეტიც — ქალაქი, ქვეყანა კვდება. მით უმეტეს, ისეთი ტრადიციების მქონე, როგორიც ჩვენია.**

ვუცქეროდი სირცხვილით ალეწილ იუბილარ ქალბატონს, რომელიც სტუმრების მილოცვებს ქუჩაში იღებდა, გამასპინძლების საშუალება კი არ ჰქონდა, ძალიან კარგად მესმოდა ქუთაისიდან ჩამოსული მამაკაცისა, რომელმაც მეგობრები ვახშამზე რესტორანში მიიწვია, იქ კი ფინანსურმა პოლიციამ ბრანწი უჩვენა. ეს ადამიანთა აბუჩად აგდებაა! თუ ფინანსური პოლიცია შედეგებზე უფრო სერიოზულად იფიქრებს, მოქმედების ტაქტიკასაც უფრო საგულდაგულოდ შეარჩევს — რესტორნებს მაშინ მიადგება, როცა „წილებს ითვლიან“, როცა რიტუალები უკვე დამთავრდება, კლიენტი თავის გზას გაუდგება. მაშინ უფრო გაადვილდება სალაროს შემოსავალ-გასავლის შემოწმება და ობიექტის მესვეურთა ბრალეულობაც.



— ბიუჯეტის ფულის მითვისება რომ ჩაგიფიქრებია,

კი არც ერთ დოკუმენტს არ მოჰყოლია იმდენი ვნებათაღელვა, რამდენიც საგადასახადო კოდექსს, ცოტად თუ ბევრად ვარგისი კანონი კი ჯერაც არა გვაქვს. ამიტომ გალაღდა ყველა ჯურის თაღლითი — შესამოწმებელიც და შემმოწმებელიც, ამიტომ ჯერ კიდევ თავს ლაღად გრძნობენ „კრიშები“, ისევ უზღავ-უწყავი სახსრები აკლდება ბიუჯეტს.

**მაგრამ ჩვენ ვერ დავუდგებით თავდებად იმათ, ვინც მოუფიქრებელი ღონისძიებით ადამიანებს თავგზას უბნევს. საინტერესოა, რატომ მოქმედებს ცალკე ფინანსური პოლიცია? ნუთუ არ შეიძლება მისი და საგადასახადო სამსახურების ძალთა გაერთიანება? ამ პრინციპის უარყოფა ხომ ეჭვის დამატებით საფუძველს ქმნის?** ან რას მივაწეროთ, რომ დამრღვევი რესტორნების ტერიტორიაზე მდებარე საგადასახადოები „ვერამჩნევენ“ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს? რა ვიფიქროთ, „წილში სხედან“ და „Не вижу, не слышу“-ს თამაშობენ? ვფიქრებ: ნებისმიერ ღონისძიებას, ოღონდ ცივილიზებული ფორმით ჩატარებულს, რომელიც ბიუჯეტის შევსებას ემსახურება, როგორც იტყვიან, ორივე ხელით მივესალმებით და ვუჭერთ მხარს, მაგრამ ნუთუ არ შეიძლება ამის იმგვარად გაკეთება, რომ ადამიანთა უფლებები არ დაირღვეს? ძველთაგანვე ხომ არსებობს ამის გამოცდილი მეთოდები, თუნდაც ქრონომეტრაჟი? განა ყველაფერი, რაც ძველია, უარსაყოფი და დასაწუნია!

**საინტერესოა, ამდენი დელეგაცია მიდი-მოდის უცხოეთში, რისთვის დადიან, თუ ვერაფერს ისწავლიან? არა მგონია, ევროპის რომელიმე ქვეყანაში ასეთი მოუფიქრებელი ნაბიჯები გადადგან. ჰოდა, თქვე კაიდედმამიშვილებო, დაელაპარაკეთ თქვენს კოლეგებს, ვისაც თქვენზე მეტი გამოცდილება აქვს. ისწავლეთ ელემენტარული უნარ-ჩვევები. მაშინ შედეგიც ეფექტური და უხმაურო იქნება.**

**გუჯა რთველაძე**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს დილეტანტიზმი ამუხრუჭებს

**რამდენჯერ უნდა გადაიტანოს საქართველომ რევოლუცია იმისთვის, რომ გახდეს დემოკრატიული ქვეყანა? ამ ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ აღნიშნა „ვარდების რევოლუციის“ მეორე წლისთავი, თუმცა, ჯერ კიდევ შორს დგას აყვავებისა და სტაბილურობისგან.**

პრეზიდენტმა სააკაშვილმა, რომელმაც 2003 წლის ნოემბერში დაამხო შევარდნაძის რეჟიმი, შეასრულა რეფორმების განხორციელებისა და ქვეყანაში უცხოელ ინვესტორთა მოზიდვის შესახებ გამოთქმული დაპირებები და თავისი კოლეგის ვიქტორ იუშჩენკოსგან განსხვავებით, რომელიც უკრაინის ხელისუფლების სათავეში ასევე მოვიდა 2004 წლის რევოლუციის შედეგად, სააკაშვილმა შეძლო თავისი მთავრობის ერთიანობის უზრუნველყოფა.

„ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ, მაგრამ მთავარი პრობლემა ჯერ კიდევ გადასაჭრელია“, — განაცხადა რეიტერის საინფორმაციო სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს სტრატეგიულ და საერთაშორისო გამოკვლევათა ფონდის ხელმძღვანელმა ალექსანდრე რონდელმა. სააკაშვილის პოპულარობის რეიტინგი კვლავ მაღალია, მაგრამ, მეთვალყურეები აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტს და მის გუნდს ჯერ მაინც არ ჰყოფნის პროფესიონალიზმი და გამოცდილება. მთავრობისთვის მძიმე დანაკარგი გახდა პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დაღუპვა, რომელსაც, როგორც სააკაშვილის ნდობით აღჭურვილ პირს, შეეძლო ზოგ საკითხებში შეეკავებინა ქვეყნის ხშირად ზედმეტად თვითდაჯერებული პრეზიდენტი.

საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტი ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა, აღნიშნა ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის თანამშრომელმა და კავკასიის საკითხთა ექსპერტმა იან კიოლერმა. ხელისუფლების სტრუქტურებში ჯერ კიდევ ძალზე დიდ როლს ასრულებენ არაფორმალური ფაქტორები. კორუფციაზე ლაპარაკი აქ მთლად სწორი არ იქნებოდა, შენიშნა გერმანელმა ექსპერტმა, უფრო შეიძლება ვილაპარაკოთ ხელმძღვანელობის კლანურ პრინციპზე. სააკაშვილმა ჯერჯერობით ვერ შეძლო სახელმწიფო აპარატის ლეგიტიმირება, და ეს უთხრის ძირს მის რეპუტაციას ქვეყნის მოსახლეობის თვალში. პრეზიდენტის პრობლემაა ის, რომ პუტჩის, და არა დემოკრატიული არჩევნების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, მან ვერ შეძლო სახელმწიფო სტრუქტურების მტკიცე განვითარების უზრუნველყოფა, მიაჩნია ექსპერტს. მან ვერ გაართვა თავი დაკისრებულ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, და, ამით ამოწურა მისდამი ნდობის კრედიტი.

დილეტანტიზმი უმაღლეს დონეზე, თქვა შემდეგ იან კიოლერმა, საქართველოსთვის სადღეისოდ უმთავრესი პრობლემაა. ქვეყანაში არ ჰყოფნით პროფესიული პოლიტიკური მუშაობის გამოცდილების მქონე ადამიანები, სტაჟიანი ბიუროკრატები, ამ სიტყვის კარგი გაგებით. საქართველოში ურთიერთობა, ჯერ კიდევ საბჭოური დროიდან მოყოლებული, წარიმართებოდა კლანური იერარქიის პრინციპებით. ეს მემკვიდრეობა შენარჩუნებულია „ვარდების რევოლუციის“ შემდეგაც. ამიტომ, ჯერჯერობით არ არსებობს სრული ურთიერთგაგება სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, რის გამოც, არ არის გამორიცხული, რომ საქართველოში მოხდეს ხელისუფლების ახალი შეცვლა, თუმცა, იმედი ვიქონიოთ, რომ ამ შემთხვევაში პუტჩის მეთოდებს აღარ მიმართავენ, თქვა იან კიოლერმა.

ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი აცხადებს, რომ საქართველო საბოლოოდ გადაიჩეხება დიქტატურის უფსკრულში. სხვებს კი, მაგალითად, საქართველოს ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს, საფრანგეთში დიპლომატიური მუშაობის მდიდარი გამოცდილების მქონე ადამიანს — სალომე ზურაბიშვილს მიაჩნია, რომ „ქვეყნის ამჟამინდელმა ხელისუფლებამ გადაუხვია სწორი კურსიდან“. პოსტრევოლუციურ საქართველოში პოლიტიკური ცხოვრების ნორმალიზაცია ჯერჯერობით მხოლოდ კეთილ განზრახვად რჩება, განაცხადა იან კიოლერმა. ქვეყანაში ჯერ უნდა ჩამოყალიბდეს პარტიები და პარტიათაშორისი ბრძოლის მექანიზმები, საქართველო კი ჯერჯერობით კლანურ ქვეყანად რჩება.

და მაინც, დიქტატურა საქართველოში შეუძლებელია, დარწმუნებულია გერმანელი ექსპერტი. მისი თქმით, ქართველი ხალხი ძალზე თავისუფლებისმოყვარეა. თუმცა, ინდივიდუალისტების მართვა ამიტომაც ძალზე რთულია.

მაგრამ დასავლეთი არაერთგვაროვანია. შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, რომელიც კავკასიაში ისახავს გეოპოლიტიკურ ინტერესებს და საქართველოს რუსეთის ძლიერ ოპონენტად მიიჩნევს, იან კიოლერის თქმით, ევროპა, უწინარეს ყოვლისა, დაინტერესებულია მშვიდი და სტაბილური საქართველოთი, ყოველგვარი რევოლუციებისა და კატაკლიზმების გარეშე, რომელთა ტალღებიც უთუოდ მიაღწევს ევროპამდეც.

**რადიო „დოიჩე ველე“ (გერმანია).**

# ჯემალ გოგიტიძე: სააკაშვილის რეჟიმი ოპოზიციის წინააღმდეგ პროვოკაციებს ამზადებს

**საქართველოს ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ ქვეყნის მთავრობა და სპეცსამსახურები ამზადებენ დივერსიულ-ტერორისტულ აქციებს, რათა სახელი გაუტეხონ იმათ, ვისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის ბედი. ეს განაცხადა აჭარის ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, საქართველოს პარლამენტის სამი მოწვევის ყოფილმა დეპუტატმა ჯემალ გოგიტიძემ, რომელიც ამჟამად ხელმძღვანელობს პარტია „სამართლიანობის“ წარმომადგენლობას მოსკოვში. გოგიტიძე მოუწოდებს სიფხიზლისთვის ოპოზიციის ლიდერებს და ურჩევს მათ, დაირაზმონ და არ აჰყვნენ პროვოკაციებს.**

„როსბალტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გოგიტიძემ აღნიშნა: „სარწმუნო არხებით მიღებულია ჯერჯერობით დაუდასტურებელი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მიხეილ სააკაშვილი და მისი გარემომცველი პირები მზად არიან ოპოზიციის წინააღმდეგ განახორციელონ დივერსიულ-ტერორისტული აქციები შევარდნაძის დროის 1995-1998 წლების სცენარის მიხედვით. ამ აქციების მიზანია ის, რომ პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოაშორონ ოპოზიციის ლიდერები და მეტ-ნაკლებად ავტორიტეტიანი ადამიანები, ის პირები, რომლებმაც შეიძლება შეუქმნან საფრთხე მოქმედ რეჟიმს“.

„ამ გეგმების გარდა, — თქვა შემდეგ გოგიტიძემ, — მზადდება შავი პიარ-კამპანია ოპოზიციის ლიდერებისა და პირადად ჩემს წინააღმდეგ, რაც დამახასიათებელია სააკაშვილის რეჟიმისთვის“. გოგიტიძის თქმით, ამ გეგმას ხელმძღვანელობს პირადად საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი.

**„როსბალტის“ საინფორმაციო სააგენტო, (რუსეთი).**

◉ სასამართლო

# 32 წლის მარიკ დუდაევს 23 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილებით, განზრახ მკვლელობასა და სხვა მძიმე დანაშაულებებში ბრალდებულ ოსი ეროვნების მოქალაქეს მარიკ დუდაევს 23 წლით პატიმრობა მიესაჯა.**

მოსამართლეთა კოლეგიის თავმჯდომარე ნაირა გიგიტაშვილი განაჩენს რამდენიმე საათის განმავლობაში კითხულობდა. დუდაევს ბრალი 10-ზე მეტ ეპიზოდში ედება. მარიკ დუდაევი გამართლებულია ერთ მკვლელობაში, ერთ ყაჩაღობაში და თანხის გამოძალვაში. თუმცა, სასამართლომ იგი დამნაშავედ სცნო განზრახ მკვლელობებში, ადამიანთა გატაცებაში, ყაჩაღობაში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებაში და სხვა კატეგორიის დანაშაულებებში. დუდაევი სასჯელს მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მოიხდის.

როგორც ინტერპრესნიუსს დაკავებულის ადვოკატმა ნათია სირაძემ განუცხადა, იგი სასამართლოსგან მკაცრ განაჩენს ელოდა, თუმცა, არა ასეთს. მისივე თქმით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდება უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში და იგი მარიკ დუდაევის გამართლებას წარდგენილი ბრალდებების უმეტესობაში მოითხოვს.

ადვოკატის თქმით, სასამართლომ გუშინ პროკურატურის დაკვეთა შეასრულა.

როგორც ინტერპრესნიუსს პროკურორმა გიორგი კავსაძემ განუცხადა, სასამართლომ ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო და ბრალდების მხარე განაჩენს არ გაასაჩივრებს.

მარიკ დუდაევის სასამართლო პროცესის მონიტორინგს „საქართველოს ოსთა ასოციაციის“ ქალთა საქმეების მრჩეველი ნანა ცარაევა ახორციელებდა, რომელიც გამოძიების მიმდინარეობის პერიოდში უხეშ პროცესუალურ დარღვევებზე საუბრობს.

დუდაევი მისთვის წაყენებულ არც ერთ ბრალდებას არ აღიარებს და თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს. 32 წლის მარიკ დუდაევი 2004 წლის 16 მარტს, ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს, სოფელ არცევში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დააკავეს.



**ინტერპრესნიუსი**

◉ ინფორმაცია

## იწყება „ხელისუფლების ჭკუაზე მოყვანის“ პოლიტიკა

**საზოგადოებრივი** მოძრაობა „სახალხო ფორუმი“ პირველ დეკემბერს ოფიციალურად დაფუძნდება.

ამის შესახებ დღეს საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერმა აკაკი ასათიანმა განაცხადა. მისი თქმით, „სახალხო ფორუმის“ პირველი ღონისძიება იქნება ხელმოწერების შეგროვება მერებისა და გამგებლების არჩევითობასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩასატარებლად.

ასათიანის განცხადებით, ამ თემაზე კონსულტაციები მიმდინარეობს „მრეწველებთან“, „რესპუბლიკურ პარტიასთან“, „ლეიბორისტულ პარტიასთან“ და „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან“ და ხელმოწერების შეგროვება სწორედ ამ პარტიების ორგანიზებით დაიწყება.

აკაკი ასათიანი დარწმუნებულია, რომ „სახალხო ფორუმი“ ნახევარი მილიონი ხელმოწერის შეგროვებას შეძლებს, რომელიც შემდეგ პარლამენტს წარედგინება. — ვიწყებ ხელისუფლების ჭკუაზე მოყვანის პოლიტიკას, — განაცხადა დღევანდელ ბრიფინგზე „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერმა აკაკი ასათიანმა.

## სალომე ზურაბიშვილი მარტვილის რაიონის მოსახლეობას შეხვდა

**საქართველოს** საგარეო საქმეთა ექს-მინისტრი სალომე ზურაბიშვილი გუშინ მარტვილის რაიონის მოსახლეობას შეხვდა.

სალომე ზურაბიშვილმა შეხვედრა გამართა სოფელ სალხინოში. მასთან შესახვედრად მივიდა როგორც ახლომდებარე სოფლების, ასევე მარტვილიდან ჩასული მოსახლეობა.



სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, სამეგრელოს რეგიონში მისი მოგზაურობა უკავშირდება ამ რეგიონის მნიშვნელობის წარმოჩენას საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სალომე ზურაბიშვილი დღეს წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების მოსახლეობას შეხვდება.

## ბათუმის ცირკი ერთგანაცხადიან აუქციონზე გაიყიდა!

**ბათუმის** ცირკის მფლობელი, სავარაუდოდ, შპს „ბაკური“ გახდება.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ გუშინ კონკურსის წესით გასაყიდად ცირკის შენობა გაიტანა.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში მხოლოდ ერთი განაცხადი იყო შესული, სავარაუდოდ, ცირკის მფლობელი შპს „ბაკური“ გახდება, რომელმაც რამდენიმე თვის წინათ ბათუმში კინოთეატრი „თბილისი“ შეიძინა.

ცირკის შენობის საწყისი ფასი 100 ათასი დოლარია. კონკურსის პირობების მიხედვით ახალმა მფლობელმა მილიონი დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს.

საბოლოო პასუხი ფინანსთა სამინისტროსგან ხუთ დღეში იქნება ცნობილი, თუმცა აჭარის ფინანსთა მინისტრს კახა შავაძეს ეჭვი არ ეპარება, რომ ცირკის მფლობელი შპს „ბაკური“ გახდება.

ცირკის შენობა 1997 წელს დაიწვა და მას შემდეგ არ ფუნქციონირებდა. ახალ მფლობელს კონტრაქტში ჩაწერილი აქვს, რომ ერთი წლის შემდეგ ცირკს პროფილი უნდა შეუნარჩუნოს და შენობას რეკონსტრუქცია ჩაუტაროს.

**ინტერპრესნიუსი**

## ახლა ჯერი გარანტიებსა და ხელსაყრელ ბიზნეს-გარემოზეა

**საქართველო-იტალიის** ერთიანი თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში 29 დეკემბერს გაიმართა იტალიელ მეწარმეთა დელეგაციის შეხვედრა ქართველ კოლეგებთან და მასმედიის წარმომადგენლებთან. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ კაზერტას პროვინციის მეწარმეთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი გაეტანო მატალესტა და იტალია-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამის ხელმძღვანელი ფრანჩესკო მოჩიარელა. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ იტალიის ელჩი საქართველოში ფაბრიციო რომანო და ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ისაკაძე.

ალნიშნული ცხრათვიანი პროგრამა საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო პალატის ერთობლივი პროექტია და იტალიის მთავრობის რესურსებით კონკრეტულ პარტნიორულ საქმიანობას გულისხმობს. დიდია დაინტერესება, კერძოდ: სოფლის მეურნეობით გადამმუშავებელი და კვების მრეწველობებით, აგრეთვე, ახალი ტექნოლოგიებით, ზოგადად, ინჟინერიითა და სამშენებლო ბიზნესით.

— იმის სანაცვლოდ, რომ ფულს, დროსა და რესურსებს ინვესტირებას ვუკეთებთ, გვინდა საქართველოს მხარის გარანტიები მივიღოთ, — განაცხადა გაეტანო მატალესტამ. საკითხი ასე დგას: რით შეიძლება ქართველი ბიზნესმენები დაინტერესდნენ და რის შეთავაზება შეუძლიათ მათ იტალიელთათვის.

შეხვედრის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ამჟამად დასრულდა პროგრამის ქართული ნაწილი, რომელშიც დედაქალაქის გარდა, თითქმის ყველა რეგიონია ჩართული აჭარის გარდა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთივე შეხვედრა ბათუმში კვირის მიწურულს გაიმართება.

— ფაქტობრივად, იტალიელებს საქართველოდან მიაქვთ მონაცემთა ბაზა, რაც მათ საშუალებას მისცემს, შეარჩიონ კონკრეტული კომპანიები სრულიად კონკრეტული პროექტების განსახორციელებლად, — განაცხადა გიორგი ისაკაძემ.

**ოთარ ტურაბელიძე**

ექსკლუზივი

# შამბამ აღიარებითი ჩვენება მომცა, —

## აცხადებს ექსპერტი აფხაზეთის საკითხში პაატა დავითაია

**საზოგადოებრივი მოძრაობა „ჩვენ“, აფხაზეთის ვეტერანთა კავშირი, ორგანიზაცია „ცხუმი“, აფხაზეთის სხვა ორგანიზაციები ერთი იდეის გარშემო ერთიანდებიან. ამ დღეებში მათ პირველი შეკრება გამართეს, სადაც უამრავმა დევნილმა მოიყარა თავი. ამ და სხვა საკითხებზე ჩვენი ნომრის სტუმარი აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების იუსტიციის ყოფილი მინისტრი პაატა დავითაია გვესაუბრება.**

**— ბატონო პაატა, ეს მართალია, აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენელმა სერგეი შამბამ მართლა აღიარა ქართველების მიმართ ჩადენილი დანაშაული?**

— მან ეს რადიოეთერით აღიარა. რადიო „უცნობისა“ და „თავისუფლების“ ერთობლივი პროექტით, ამას წინათ ეთერში ჩემთან ინტერვიუ გადაიცა. მე ვლაპარაკობდი და მოულოდნელად საუბარში სერგეი შამბა ჩაერთო. წამყვანმა მეც და მასაც მხოლოდ ერთი კითხვის დასმის საშუალება მოგვცა. შამბას ვუთხარი, თბილი ტანსაცმელი მოამზადეთ შენ და ბაღაფშმა, მალე დაგიჭერთ, ჩემი ცხოვრების მიზანია, ჩადენილი დანაშაულისთვის დაგიჭიროთ და პასუხი გაგებინოთ-მეთქი. კი, [illegible]



— საქმის აღძვრაა საჭირო, მტკიცებულებებია საჭირო. პრეზიდენტმა ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან, გაეროს ასამბლეაზე განაცხადა, რომ აფხაზეთში მოხდა გენოციდი და ეთნოწმენდა, იგივე უთხრა კოფი ანანსაც. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მე ვფიქრობ, რომ პრეზიდენტი გამოხატავს თავის ნებას, მაგრამ მისი ქვეშევრდომი პირები მის ნებას არ ასრულებენ. პრეზიდენტი ვერ იტყვის იმას, რომ გენოციდი და ეთნოწმენდა მოხდა, თუ მტკიცებულებები არ იქნა. საამისოდ კი მისი ქვეშევრდომები არაფერს აკეთებენ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ პრეზიდენტი შეცდომაში შეჰყავთ. ვფიქრობ, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება პრეზიდენტს დევნილების რეალურ მდგომარეობას არ მოახსენებს. დევნილები დღეს უმძიმეს მდგომარეობაში არიან. მათ პრობლემებს უქმნიან, ხდება სამსახურებში მათი შემცირება, ასახლებენ საცხოვრებელი ბინებიდან, ყოველ ნაბიჯზე ირღვევა მათი უფლებები. არ შეიძლება ასეთი სიტუაცია დიდხანს გაგრძელდეს. ეს ხალხი ვიღაცამ უნდა დაიცვას. ამ მიზნით აფხაზეთის რამდენიმე ორგანიზაცია ვერთიანდებით. ეს არ იქნება პოლიტიკური გაერთიანება. ჩვენ ერთი იდეის ირგვლივ შევკავშირდებით. ეს იქნება დევნილთა უფლებების დაცვა და უმოკლესი გზა აფხაზეთისკენ. დღეს პირველი შეკრება ჩავატარეთ, ხომ ხედავთ რამდენი ხალხი მოგროვდა.

ყოველი ჩვენი შეკრება დევნილთა ინტერესების დაცვისკენ იქნება მიმართული. ამასთან, ჩვენ თვითონ უნდა ვიპოვოთ გზა, თუ როგორ დავბრუნდეთ საკუთარ სახლებში.

[illegible]

აფხაზეთის ომის ვეტერანებს, მეომრებს უწევთ სასამართლოებში სირბილი და იმის მტკიცება, რომ ისინი ნამდვილად ომობდნენ. ეუბნებიან, რატომ ომობდითო. წყნეთში იმ ბინების პრივატიზება მიდის, სადაც დევნილები არიან ჩასახლებული. პრივატიზაციის პროცესში ეს ხალხი არავინ არ ჩართო. მათ ბინებს აუქციონზე ყიდიან. აუქციონზე ბუნებრივია, დევნილი ვერაფერს ვერ იყიდის. მათ იმ ბინებიდან გამოყრიან. არადა, ამ ხალხს წყნეთში საფლავები აქვს. ეს მეორე გენოციდი იქნება მათთვის. ბევრს უნდა საზოგადოება დაარწმუნოს, თითქოს ჩვენ ვართ დამნაშავე იმაში, რაც აფხაზეთში მოხდა. ეს სიცრუეა. დევნილები დამნაშავე არაფერში არ არიან. ომი ჩვენ არ დაგვიწყია.

**— ბოლოდროინდელი მონაცემებით, ყოფილი პარტიზანები თითქოს პარტიზანული მოძრაობის განახლებას გეგმავენ. გასაგებია, რომ ადამიანს, რომელიც ძალით გააგდეს თავისი საცხოვრებელი ადგილიდან, უფლება აქვს, ასევე, იარაღით ხელში იბრძოდეს მის დასაბრუნებლად, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ თავის დროზე პარტიზანულმა მოძრაობამ შედეგი არ მოგვცა. ეს ეტაპი უკვე განვლილია და ისევ უნდა მივუბრუნდეთ? ამ გზით პრობლემას რეალურად ვერ გადავწყვეტთ. მაშ, რა საჭიროა ამაზე საუბარი?**

— თეთრი ლეგიონის განცხადება პარტიზანული მოძრაობის აღდგენაზე, ბუნებრივიც იყო, იმიტომ რომ გალის ტერიტორიაზე უმძიმესი სიტუაციაა შექმნილი. იქ ყოველ წუთს ირღვევა ადამიანის უფლებები, მაგრამ მე მინდა პირდაპირ ვთქვა, რომ პარტიზანული მოძრაობის სპონტანური აღდგენა ძალიან საშიში მომენტია. ვინც ამას სპონტანურად დაიწყებს, თავს დაიღუპავს. მხარდამჭერები თუ არ იქნა, ვერ გაამართლებს. ვინ უნდა იყოს მხარდამჭერი? მხარდამჭერი უნდა იყოს სახელმწიფო. სახელმწიფოს აქვს ბერკეტები...

**— სახელმწიფო პარტიზანულ მოძრაობას მხარს ვერ დაუჭერს და ამაში მას ვერც გავამტყუნებთ.**

— მე ხაზს ვუსვამ, პარტიზანული მოძრაობა ამას არ სჭირდება. სახელმწიფოს აქვს ბერკეტები, ჰყავს სპეცდანიშნულების რაზმები. მიმაჩნია, რომ ეს საკითხი სახელმწიფომ თვითონ უნდა მოაგვაროს, ეს მისი მოვალეობაა. ხელისუფლება ვალდებულია, საქართველოს თითოეული მოქალაქის უფლებამოსილება დაიცვას. ადამიანის უფლებების დაცვა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში უნდა იქნეს აყვანილი ანუ აფხაზეთის ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგი უნდა დამყარდეს.

**— ბატონო პაატა, რას იტყვით იმასთან დაკავშირებით, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში ხელისუფლებამ გარკვეული ბერკეტები მოიპოვა. ეს პირველ რიგში რუსეთის გავლენის შესუსტებასა და ამ პრობლემების მოგვარებაში გლობალური პოლიტიკური ძალების ჩაბმაში გამოიხატება, რაც კიდევ უფრო ნათლად, ალბათ, უახლოეს დროში გამოჩნდება, როცა რუსეთთან „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის საკითხების შესახებ მოლაპარაკებები სრულიად ახალი ფორმატით დაიწყება. რაც მთავარია, რუსეთის გარდა მოლაპარაკებებში თანასწორუფლებიანი წევრები იქნებიან ევროკავშირის, ეუთოს და აშშ-ს წარმომადგენლები, ეს კი ცოტას არ ნიშნავს.**

— მე ამას მივესალმები. ეს ძალიან კარგია, მაგრამ როგორც ექსპერტმა, ჯერჯერობით არ ვიცი კონკრეტულად რაზეა საუბარი. ამ დოკუმენტს არ ვიცნობ, ამდენად, რა სახის ახალ ფორმატზეა ლაპარაკი, მიჭირს ამაზე კომენტარის გაკეთება. თუ შედეგით ვილაპარაკებთ, ჯერ არანაირ შედეგს არ ვხედავ. პირიქით, ვხედავ იმას, რომ სიტუაცია აფხაზეთში კიდევ უფრო გაუარესდა. არაერთხელ მითქვამს, ბაღაფში არძინბაზე უარესია. ის ამას ყოველ ნაბიჯზე ამტკიცებს. ეხლა განაცხადა, ვინც რუსეთის მოქალაქეობას არ მიიღებს, გალის ტერიტორიაზე არავის არ გააჩერებს. გალის ტერიტორიაზე მცხოვრებთაგან 60000-დან 40000 უკვე მიღებული აქვს რუსეთის მოქალაქის პასპორტი, თან დევნილის მოწმობაც აქვთ. ეხლა ბაღაფშს უნდა გაარკვიოს, ვინ არის და ვინ არ არის მასთან. აღრიცხვის მერე ბაღაფშის შემდგომი ნაბიჯი ენგურის ჩაკეტვა იქნება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ მკვეთრი ზომები უნდა მივიღოთ. ეს არის ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა, ამისთვის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, საქმე უნდა აღიძრას. ასეთ სულისკვეთებას მე დღეს ვერ ვხედავ. დღეს მე საერთოდ ვერ ვხედავ, აფხაზეთთან დაკავშირებით რომელიმე სტრუქტურა საქმეს თუ აკეთებს.

**ესაუბრა მზია გელენავა.**

ახალი გზა

# რალი და «შეარემონტებული» ავტორიტეტი

**გზას ალაგ-ალაგ ტალღებად ეტყობოდა ძველი ასფალტის ნარჩენები. იქნებ ვინმეს ეს რომანტიკულად ეჩვენება, რაკი ფიქრობს, რომ მთისძირა სოფელს სწორედ ოღრო-ჩოღრო გზა უხდება. შეიძლება, ასეც იყოს, ოღონდ — მხოლოდ შორიდან. მუხურელებს კი დიდად დალხენილი სიცოცხლე ისედაც არ ჰქონიათ და ამ გზისგან კიდევ უფრო მეტად უმწარდებოდათ. დამიჯერეთ, რომანტიზმის არაფერი სცხია ორმოებში მოხტუნავე ავტობუსში მსხდომთა გულ-მუცლის მღვრევას.**

ერთხელაც, სამეგრელოში ყოფნისას, პრეზიდენტმა თქვა, სენაკიდან ზუგდიდამდე ისეთ გზას დავაგებთ, ნოემბერში, გიორგობას, ავტორბოლის მოწყობაც გახდება შესაძლებელიო. ეს გზა მუხურზე გადის. ასე რომ, პრეზიდენტის სიტყვებს ჩემი თანასოფლელებიც უნდა გაეხარებინა. თუმცა, მაშინ დიდად არავის მიუქცევია ყურადღება — უამრავი შეუსრულებელი დაპირების გამგონე ხალხმა კარგად იცის, ყველაზე სუსტი მეხსიერება სწორედ ქვეყნის პირველ პირებს რომ აქვთ.

ასფალტს აგებენო, კი მეუბნება დედაჩემი, მაგრამ... პროფესიული ავადმყოფობა თუ მჭირს — სანამ ჩემი თვალით არ ვნახავ, იოლად ვერაფერს ვიჯერებ. ასე რომ, შვებულების გასატარებლად სოფელში მიმავალს, გასავლელი გზის წარმოდგენაც კი მირღვევდა იმ სიმშვიდეს, მშობლიურ სიწყნარეში დასვენების მოლოდინში რომ მეუფლებოდა. თურმე ტყუილუბრალოდ. ჩხოროწყუს დაჩრჩილურ გზას შეჩვეული, ახალდაგებული ასფალტის დანახვაზე საკუთარ თვალებსაც ველარ ვუჯერებდი.

ამას რას მოვესწარითო, — კარგა ხანს ამ ფრაზით იწყებოდა ერთად თავშეყრილი მეზობლების საუბარი. სააკაშვილის მხარდამჭერები ნიშნს უგებდნენ სკეპტიკოსებს, რომელთაც პრეზიდენტის დანაპირების შესრულებაში ეჭვი ეპარებოდათ. ნაირ-ნაირი ვერსია ითხზვებოდა. ყველაზე ხშირად იმას ამტკიცებდნენ, მთავრობა აფხაზეთში სენაკიდანაც აპირებს სამხედრო ძალების შეყვანას და გზაც ამისთვის დასჭირდაო.

ასე იყო თუ ისე, გზა წინ-წინ მიცოცავდა. „ნატვრის ხე“ მაგონდებოდა — „რევოლუცია მოდის!“ მიწაზე ყურდადებულ კაცს ჰგავდა სოფელი, ოღონდ, იორამისგან განსხვავებით, არა რევოლუციას, არამედ ნაბიჯ-ნაბიჯ მოახლოებულ გზას ელოდა, როგორც რევოლუციის შედეგს.

ასფალტს ტენდერში გამარჯვებული შპს „გზა“ აგებდა. მართალია, მისი ხელმძღვანელი ოდიკ ღვინჯილია ხშირად აკითხავდა თანამშრომლებს, მაგრამ, რომც არ მოსული იყო, თავი ქუდში ექნებოდა. საქმე საიმედო ხელში იყო — ფრიდონ გვარამია უძლევებოდა. ასეთი ენერგიული ადამიანი იშვიათად მინახავს. არც თვითონ ისვენებდა, არც ბიჭებს ჩააცხრევინებდა მუხლს უდროოდ. თანაც, ღიმილს არ იშურებდა. ერთ წუთს რომ რომელიმე მანქანასთან იდგა და ტვირთის ჩამოცლას ადევნებდა თვალს, მეორე წუთს ახლადდაგებული ასფალტის სისქეს ზომავდა. ჯგუფის მუშაობას ზუსტად ვერ გადმოგცემთ, ეს, ალბათ, არც იქნება თქვენთვის საინტერესო. თანაც, უნდა გამოგიტყდეთ, ფრიდონ გვარამიას მიერ მოცემული ახსნა-განმარტების მიუხედავად, ამ საქმისა არაფერი გამეგება. სამაგიეროდ ნარდის თამაში ვიცი, რითაც ზოგჯერ ვაცდენდი მუშებს, ჩემს თანასოფლელ მუშებს (ამის გამო შეიძლება, მათი ხელმძღვანელი გულში მიბრაზდებოდა კიდეც,



მაგრამ ჩემთვის საყვედური არასდროს უთქვამს). მართალია, შპს „გზა“ მეზობელი რაიონიდან იყო ჩვენთან მოსული, მაგრამ მუშებად, ძირითადად, ადგილობრივი მცხოვრებლები ჰყავდა აყვანილი. ეს კი დაუსაქმებელი ადამიანებისთვის ნამდვილად ბედნიერება აღმოჩნდა, რადგან რამდენიმე თვის განმავლობაში დღიურ ლუკმაზე მეტი შემოსავალი გაუჩნდათ.

გვარამიასთან ერთად სხვა სტუმარიც, თამაზ შანავა დამამახსოვრდა კარგად — ნამდვილკოლხურად ზრდილი კაცი, ხორცშესხმული თავაზიანობა. სოფელი ყველას ემადლიერებოდა და ამის გამოხატვას ხშირად ცდილობდა სახელდახელოდ გაშლილი პურმარილით. თუმცა, მავნეც გამოერია. ერთხელ წაუცდა ღვინოზე ხელი მოხუც დარაჯს და მწყრის არაკი დაემართა, ტოტი ჩამოუტყდა — ვილაცამ „კატოკიდან“ (მათს ტექნიკას ვერ ვარჩევდი, ამიტომაც ყველაფერს „კატოკს“ ვეძახდი) აკუმულატორი მოიპარა და მთელ უბანს მოჭრა თავი. ასეთებიც ხდება.

* * *

ხალხი სულსწრაფია. უფრო ზუსტად, ჯერ დიდხანს ითმენს, შემდეგ კი ერთბაშად ითხოვს დაკარგული წლების ანაზღაურებას. ამიტომ იყო, ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე რომ სურდა, საქართველოში დაეძინა და, ვთქვათ, შვეიცარიაში გაეღვიძა.

ჩემი მეგობარი მიყვებოდა... მიჯაყჯაყებენ ერთხელ თურმე დაბიდან სოფელში. ავტობუსში ჩაჭეჭყილი ხალხის ჩივილი პოლიტიკაზე საუბარში გადაიზარდა (საქართველოში ხომ ისედაც ყველა პოლიტიკოსობს, თანაც მაშინ რევოლუციის თემა ჯერ კიდევ ცხელი იყო). გაუშოლტავს სიტყვით ერთ გოგოს ახალი მთავრობა — კოჭებშივე ეტყობა, ხეირს არ გადაგვყრისო. სააკაშვილის გაპრეზიდენტებიდან ერთი თვე იყო გასული. კი, ცოტა დროა, მეტიც, ძალიან ცოტა, მაგრამ ხალხს სჯეროდა, რომ ახალი პრეზიდენტი ამ დროშიც შეძლებდა ყველაფრის წალმა შემობრუნებას. ხომ იცით, სამეგრელოში განსაკუთრებულად რომ უყვარდათ ზვიად გამსახურდია, მასში პრეზიდენტზე მეტს ხედავდნენ. გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ, ალბათ, ახალი გმირი სჭირდებოდა ხალხს და სააკაშვილიც გამოჩნდა. ბევრმა თავის გულში ზვიადი მიშათი ჩაანაცვლა.

ჰო, იმას ვყვებოდი, ერთ გოგოს მწარე სიტყვები არ დაუშურებია ახალი ხელისუფლების გასაკილავად. სოფელში, როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ერთი მეწისქვილე ქალი გვყავს, შურა. ჰოდა, მიუტრიალდა თურმე იმ გოგოს. აი, შენო, ახლა რომ გათხოვდე, ერთ თვეში ბავშვს გააჩენო? და თუ გააჩენ, რას იტყვიანო?

გაისუსა თურმე დედაკაცური პირდაპირობის გამგონე გოგო.

არ ვიცი, ახლა, ორი წლის შემდეგ რას ამბობს მეწისქვილე. ერთი კი შემიძლია, დაბეჯითებით ვთქვა — უკმაყოფილოთა რიცხვი თანდათან უფრო და უფრო იზრდებოდა. (თუმცა, გულმხურვალე მხარდამჭერებიც ჰყავს სამეგრელოში მიხეილ სააკაშვილს). არც — ერთი, არც — ცხრა და არც ოცდაოთხი თვე ეყო იმ „ბავშვის“ დაბადებას, ხელისუფლებისგან რომ მოელოდა ხალხი.

რალი კი მართლა გაიმართა. სულზე მიუსწრო ასფალტმა ხელისუფლებას. ახალმა გზამ პრეზიდენტის ავტორიტეტი კი „შეარემონტა“, მაგრამ არავინ იცის, რამდენი ხნით.

**რუსუდან გახარია**

ინფორმაცია

### მეწარმეთა მოთხოვნა დაკმაყოფილდა

**მთავრობამ** მეწარმეთა მოთხოვნა გაითვალისწინა და საქონლის აღრიცხვისა და მოძრაობის ჟურნალის გაუქმება გადაწყვიტა.

საქართველოს მთავრობის ინიციატივა, რომელიც საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას ითვალისწინებს, საქონლის აღრიცხვისა და მოძრაობის ჟურნალის გაუქმებას შეეხება.

აღნიშნული კანონპროექტი გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა განიხილა. კომიტეტმა ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა, თუმცა, სხდომაზე ზოგადად საგადასახადო კოდექსში ცვილებებისა და დამატებების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები გამოითქვა, რომლის გათვალისწინებაც მთავრობას აუცილებლად მოუწევს.

### კომპანია „ყაზბეგი“ კვლავ მონაწილეობს

**მოსკოვში** ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების მეცხრე საერთაშორისო კონკურსი დღეს იწყება.

კონკურსში მონაწილე 100-მდე ცნობილ ფირმას შორის კომპანია „ყაზბეგიცაა“. როგორც კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ბახტაძემ ინტერპრესნიუსთან საუბრისას განაცხადა, კონკურსი 3 ნომინაციაში გაიმართება — წლის საუკეთესო ლუდი, საუკეთესო გამაგრილებელი სასმელი და საუკეთესო მინერალური წყალი. პროდუქციას 10 საერთაშორისო ექსპერტ-დეგუსტატორი შეაფასებს.

— კომპანია „ყაზბეგმა“ გასულ წლებში ჩატარებულ კონკურსებში არაერთ წარმატებას მიაღწია. 2004 წელს მერვე საერთაშორისო კონკურსზე „ყაზბეგის“ ლუდი „ფშავი“ ჟიურიმ გრამპრით და ოქროს მედლით დააჯილდოვა. ამჯერად, კომპანია კონკურსზე ლუდით „თბილისი“ და ნაღების ლიმონათით „ნოსტალგია“ წარდგება, — განაცხადა ნიკოლოზ ბახტაძემ.

კონკურსი 2 დეკემბრამდე გასტანს.

### მეჯვრისხევის მოსახლეობამ მაგისტრალი გადაკეტა

**დაახლოებით** ერთი საათის განმავლობაში გადაკეტილი იყო გორი-მეჯვრისხევის საავტომობილო მაგისტრალი. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სოფელ მეჯვრისხევის მოსახლეობამ საავტომობილო მაგისტრალი პროტესტის ნიშნად გადაკეტა. მეჯვრისხეველები სასმელ წყალს ითხოვენ.



სოფლის მოსახლეობა აცხადებს, რომ ამგვარი პრობლემა წლების განმავლობაში აქვთ. თუმცა, ბოლო რვა თვის განმავლობაში მდგომარეობა უკიდურესად გართულდა. მათ საერთოდ არ მიეწოდებათ სასმელი წყალი, ხოლო თუ მიეწოდებათ, წყალი დაბინძურებულია და სასმელად უვარგისია.

მეჯვრისხევის გამგებელი აცხადებს, რომ სოფლის მოსახლეობამ უნდა შეაგროვოს თანხა და წყალსადენი მილებისა და იმ სათავე-ნაგეგობის, საიდანაც წყალი მოედინება, გაწმენდა მოხდეს.

### საკლასო ოთახები გაყინულია

**საქართველოს** პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი სკოლებში შექმნილ მდგომარეობას აპროტესტებს.

როგორც ინტერპრესნიუსს პროფკავშირის ხელმძღვანელმა მანანა კობახიძემ განუცხადა, გარდა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სადაც გათბობა თვითდაფინანსებით ხორციელდება, სკოლები შეშით, ნავთითა და დიზელით ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი.

მისი თქმით, გაყინული საკლასო ოთახების გამო საგრძნობლად შემცირდა მოსწავლეთა დასწრება, რაც საბოლოო ჯამში სერიოზულად იმოქმედებს ბავშვების განათლების ხარისხზე.

— იმ შემთხვევაში, თუ ვერ მიაღწევენ 220-ლარიანი ვაუჩერის გაზრდას, სკოლების ხელმძღვანელები არსებული თანხებით ვერ ახერხებენ კომუნალური გადასახადების დაფარვას, რაც სახელფასო ფონდზეც აისახება და იანვრიდან ისინი უფრო მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდებიან, — აღნიშნა მან.

### ტყე შევუნახოთ შვილებსა...

**ეკოლოგიური** პირობების გაუმჯობესების და საკურორტო რეკრეაციური ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, თბილისსა და თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე ტყის პრივატიზაცია დაშვებული იქნება.

ამის შესახებ საკანონმდებლო ინიციატივით საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს უკვე მიმართა.

ცვლილებები უნდა შევიდეს „თბილისის საზღვრებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ კანონში.

აღნიშნული კანონის მიხედვით, სახელმწიფო ტყისა და ტყის ფონდის მიწების პრივატიზაცია, მათთვის კატეგორიის შეცვლა, ან მათი იჯარით გაცემა აკრძალულია. თუმცა შემუშავებული ცვლილების მიხედვით, თბილისისა და თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე საკურორტო რეკრეაციური ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით საჭირო მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების დროს ან ეკლესიის მშენებლობის შემთხვევაში მთავრობის გადაწყვეტილებით ტყის პრივატიზაცია განხორციელდება.

**ინტერპრესნიუსი**

პროტესტი

# მარცვა-რბევის წინააღმდეგ ხმა ავიმაღლოთ!..

**უკვე მე-19 დღეა, ეროვნული გვარდიის ვეტერანთა საბჭოს ოფისში აფხაზეთის ომის ორი ვეტერანი შიმშილობს. პროტესტის უკიდურეს ფორმას მათ ქვეყანაში არსებული ვითარების გამო მიმართეს. მიიჩნევენ, რომ აუცილებელია საარჩევნო სისტემა, სასამართლო ხელისუფლება და პროკურატურა თავის გადაწყვეტილებაში პასუხს აგებდეს სამართლიანობისა და საზოგადოების წინაშე. ხელისუფლების წარმომადგენლებიდან მათთან არავინ გამოჩენილა, გვერდში უდგანან არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიციური პარტიები.**

სამი შვილის მამა, 45 წლის ალექსანდრე წიკლაური სამშობლოს სიყვარულმა ომში მოხალისედ წაიყვანა. ამბობს, რომ აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ საქართველო ნელ-ნელა უკან წავიდა და ქვეყნის აღმშენებლობისათვის ცოტა რამე გაკეთდა. ქართველი ხალხი კი ასეთ ყოფაში ცხოვრებას არ იმსახურებს. აფხაზეთში ბრძოლისთვის მიღებული ღირსების ორდენი წიკლაურმა 2001 წლის 5 ივნისს პროტესტის ნიშნად ხელისუფლებას ჩააბარა, დღეს კი გულისტკივილს შიმშილობით გამოხატავს და ამბობს, რომ სანამ გონება აქვს, მანამ შიმშილობას არ შეწყვეტს. მოთხოვნები კი ასეთია: ცესკოს დაკომპლექტება პარიტეტულ საწყისებზე, იმ ადამიანებით, ვისაც საზოგადოება ენდობა, ამავე ჯგუფმა იმუშაოს ამომრჩეველთა სრულყოფილ სიებზე; საარჩევნო ბარიერის 4 პროცენტამდე დაწევა; კანონის მიღება პირდაპირი კენჭისყრით მერებისა და გამგებლების არჩევის თაობაზე; ოპტიმალური კანონის მიღება თვითმმართველობის შესახებ, რაც განაპირობებს გადაწყვეტილებათა და ფინანსების დეცენტრალიზაციას, ბიუჯეტის გამიჯვნას, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა პირდაპირი წესით.

მეორე მოშიმშილე, ეროვნული გვარდიის ვეტერანთა საბჭოს წევრი, ოთხი შვილის მამა, 39 წლის მამული ჩაჩანიძეა. მიიჩნევს, რომ მთავრობისადმი ამ მოთხოვნების წაყენება დროული და აუცილებელია. ჩამონათვალი წერილობითი ფორმით კანცელარიასა და პარლამენტშიც გააგზავნეს, მართალია, ჯერ არავინ გამოხმაურებია, მაგრამ იმედოვნებს, რომ მათ მოთხოვნებს გაიზიარებენ.

სადღეისოდ ორივე მოშიმშილე თავს სუსტად გრძნობს, თუმც შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებენ. მათი მდგომარეობა გაითვალისწინა ჯანდაცვის სამინისტრომ და ოფისში (ჯორჯაძის ქ. 5ა) ექთნების მორიგეობა დააწესა. აღსანიშნავია, რომ ვეტერანების შიმშილობის პირველივე დღეებში გაიჟღერა ინფორმაციამ, თითქოსდა მათ უკან რომელიღაც ოპოზიციური პარტია დგას. ვეტერანებმა ეს ფაქტი კატეგორიულად უარყვეს.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების გარდა მათთან ხშირად მიდიან მემარჯვენეების, კონსერვატორების, ლეიბორისტების, სალომე ზურაბიშვილის მოძრაობის წევრები. — ესენი არიან საქართველოს გმირები, ასეთი გმირები ჩვენს ქვეყანას ძალიან ბევრი ჰყავს. დღეს ძალიან ხშირად შეურაცხყოფას აყენებენ ამ ადამიანებს, ვინც თავისი სიცოცხლის ფასად დაიცვა სამშობლო, დაკარგა ძმა, მეგობარი, ან სხეულის ნაწილი, ბევრმა სიცოცხლეც კი. ისინი მოთხოვნებს აყენებენ არა იარაღის ჟღარუნით, არამედ შიმშილობით, ხელისუფლება კი მათთან შეხვედრას საჭიროდ არ მიიჩნევს, — აცხადებს ლეიბორისტი ჯონდი ბაღათურია.

არასამთავრობოების და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები ვეტერანებს შიმშილობის შეწყვეტას სთხოვენ და საზოგადოებას პარლამენტის წინ მრავალრიცხოვანი შეკრებისკენ მოუწოდებენ ასეთი მოთხოვნებით: მოგვეცეს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის საშუალება, შეიქმნას სამოქალაქო საზოგადოება, შეწყდეს მორალური ტერორი. ყოველი შემთხვევისთვის კი, — თითო ვარდი უბეში ყველამ იქონიოს!

**ლელა ხვადაგიანი**

დედაქალაქი

# რიყე დიდი არქიტექტურული ზეიმის ღირსია!

## სტიქიურობიდან — სრულ ანარქიაში

**კალამი ერთმა გარემოებამ ამაღებინა ხელში. თბილისობის დღეებში, ქარვასლაში ძველი თბილისის ფოტოგამოფენა მოეწყო, იქვე ეკრანზე მომავალი თბილისის საპროექტო წინადადებებს უჩვენებდნენ. ზოგიერთი შემოთავაზება არა თუ სადაო, არამედ ალოგიკური და ავანტიურისტული იყო, ზოგიერთიც — პრიმიტიული, კომერციის პრიმატი ჩანდა. საზოგადოების, ქალაქის, არქიტექტურის ინტერესებს აშკარად სჯაბნიდა ბიზნესი. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ თბილისის არქიტექტურული პროცესი, ბოლო წლების სტიქიურობიდან, სრულ ანარქიაში გადაიზარდა!.. კაპიტალმა და ჩინოვნიკებმა გვრდზე მოისროლეს პროფესიონალები და მოახდინეს არქიტექტურული და ქალაქგეგმარებითი პროცესების უზურპაცია: ამის რამდენიმე სავალალო შედეგი უკვე სახეზეა. და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ პურს მეწაღე აცხობს, ხოლო ხაბაზი წაღებს კერავს.**

არა მგონია, რომ ეს „პრეზენტაცია“ მხოლოდ სადღესასწაულო „ჩათვლა“ იყო და არა გარკვეული ინტერესების ლობირება. შესაძლოა, ზედმეტად ეჭვიანები გავხდით, მაგრამ ეჭვისა და შიშის საბაბი ნამდვილად არსებობს. „პრეზენტაციები“ ცუდად გვაქვს დაცდილი. დღეს „პრეზენტაცია“ აუცილებელი საკანონმდებლო პროცედურების, პროფესიული და საზოგადოებრივი აზრის იგნორირებით, გზას უხსნის პროექტებს რეალიზაციისკენ. გავლენიანი ლობისტები და მათ უკან მდგომი კაპიტალი იმდენად ძლევამოსილია, რომ არქიტექტურის საქალაქო სამსახური იძულებულია უკანა რიცხვით, „პოსტფაქტუმ“ ჩაატაროს პროექტის დამტკიცების აუცილებელი პროცედურა, უფრო სწორად, იურიდიულად გააფორმოს უკვე მიღებული გადაწყვეტილება. რაღა შორს წავიდეთ, თბილისის ახალი აეროპორტი და „მზიურის“ ნაწილისთვის სტატუსის შეცვლის პროცედურა ამის ნათელი მაგალითია.

დავუბრუნდეთ ქარვასლას. ერთ-ერთ ეკრანზე რიყის განაშენიანების საპროექტო წინადადების ჩვენება საღამოს სენსაციად იქცა, სამწუხაროდ უარყოფითი მუხტით. არქიტექტორები ირონიით ეკითხებოდნენ ერთმანეთს: ნახეთ, რას უპირებენ რიყეს? ეკრანზე საათნახევრის განმავლობაში ერთმანეთს ცვლიდნენ სტილიზაციის ინფანტილური და უნიჭო კადრები.

რიყის კვარტლები 1972 წელს აღიგავა პირისაგან მიწისა. ეს ნგრევა 1971 წლის კატასტრო-




ფულმა წყალდიდობამ განაპირობა. მას შემდეგ ქალაქისა და არქიტექტორების წინაშე დგას „ახალი რიყის“ პრობლემა. იყო სხვადასხვა პროექტები, მაგრამ არქიტექტორთა ყველა თაობა და ხელისუფლებაც დიდ სიფრთხილეს იჩენდა, მათ კარგად ესმოდათ რიყის ტერიტორიის უნიკალურობა, რიყის „კვანძის“ ამოხსნის ერთ-ერთი მასშტაბური ღონისძიება იყო 1997 წლის ღია კონკურსი „რიყის უბნის ტერიტორიის ქალაქგეგმარებით კონცეფციაზე“. მე არ მახსენდება უფრო მასშტაბური, ორგანიზაციულად მწყობრი და შემოქმედებითი დიაპაზონით მრავალფეროვანი კონკურსი, რომელსაც, სრულიად ბუნებრივად, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და რეზონანსი ჰქონდა. ეს იყო თბილისის მერიის, პირადად ბატონ ბადრი შოშიტაიშვილის, არქიტექტურის სამსახურის, მთავარი არქიტექტორის დავით ახვლედიანის და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითი. კონკურსი მიზნად არ ისახავდა სარეალიზაციო პროექტის გამოვლენას (თუმცა, თუ კი ასეთი იქნებოდა რეალიზაციისთვის მორალური და იურიდიული საფუძველიც მოიძებნებოდა), არამედ „იდეათა ბანკის“ შექმნას რიყის ფუნქციურ და არქიტექტურულ-მხატვრულ საკითხებზე, რომელიც საფუძველს შექმნიდა ახალი კონკურსის უფრო ზუსტი პროგრამისათვის. ქალაქგეგმარებითი პრობლემისადმი ამდაგვარი სიფრთხილე ნამდვილად სამაგალითოა და ესიტყვება საერთაშორისო ტრადიციებს. ეს განსაკუთრებით საგულისხმოა დღეს, როდესაც თბილისში არა ერთი მაგალითი გვაქვს მნიშვნელოვანი ქალაქგეგმარებითი და საზოგადოებრივი პრობლემების ერთპიროვნული, დირექტიული წესით გადაწყვეტისა.

სამწუხაროდ, 1997 წლის საკონკურსო მასალის (35 პროექტი) შესწავლა-ანალიზი არ შედგა და არც ახალი, შემაჯამებელი კონკურსი გამართულა.

1997 წლიდან თბილისმა 7 მთავარი არქიტექტორი გამოიცვალა. ყოველი მათგანი, თავის მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე პრიორიტეტად რიყის პრობლემის გადაწყვეტას ასახელებდა, მაგრამ რამდენიმე კვირაში ისინი ეფლობოდნენ არქიტექტურული პროცესის ყოველდღიურობაში და ვერც რიყისთვის, ვერც გენგეგმისთვის და ვერც სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქგეგმარებითი საკითხების გადაწყვეტისთვის იცლიდნენ.

რიყეზე ცხოვრება გრძელდებოდა. თბილისობებიდან შემორჩენილი ოდა-ფაცხები, მიმდებარე ნაკვეთებით კერძო საკუთრებაში გადავიდა, ნაგებობები შეკეთდა-გაფართოვდა, ახალი რესტორნებიც აღმოცენდნენ.

იხ. მე-4 გვ.

⊙ კახელი გლეხის მონოლოგი

# «ერთხელ დაბლაც ჩამოდი»...

[illegible]

ვირია, რომ ჩვენი ბელელ-მარანიც კალიაშემოსეულ ყანას დაემსგავსა... **სულ უფრო ხშირად ვფიქრობ, არჩევანში ხომ არ შევცდი-მეთქი. იქნებ მეც ამეკრა გუდა-ნაბადი, აქ მეყიდა და იქ გამეყიდა. ორიოდე გროშს, ოჯახს**

[illegible]

**დეპუტატისთვის 9 ათასი ლარით იზრდება წლიური ხარჯი. ეს თვეში 700 ლარია. ჩემი ოჯახი ამდენს მთელი წლის მანძილზე ვერ ეღირსება. ეს არის, მთავრობავ და ხელისუფლებავ, თქვენი სამართალი?**



აღარაფერს ვამბობ ჩინოსანთა 3-5 ათასლარიან ხელფასებზე!

ყველას კარგად გახსოვთ, შემოდგომაზე რა ცოდვის კითხვა ტრიალებდა კახეთში. სახელმწიფომ, ჯერ იყო და ერთი თეთრიც არ გამოყო ღვინის ქარხნებისთვის — ფასებს ბაზარი დაარეგულირებსო, მერე იყო და ყველაფერი თვითდინებაზე მიუშვა. ხალხის თვალის ასახვევად სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ბრიგადები გამოყო, ვითომ ღვინის ქარხნებში ყურძნის მიღება უნდა გაეკონტროლებინათ. **არ ვიცი, ვის სასარგებლოდ რა გააკონტროლა, ყოველ შემთხვევაში ჩვენ, მევენახეებს, არანაირი სიკეთე არ გვიგრძნია — ბროლივით რქაწითელი 25-30 თეთრად ძლივს მივალღებინეთ. კილოგრამი ყურძნის მოყვანა ერთ ლარზე მეტი გვიჯდება, მეწარმეს კი ვეხვეწებით, 30 თეთრად იყიდეო. ვეხვეწებით, ვინაიდან „ვარდების რევოლუციით" მოსულმა ხელისუფლებამაც ბედის ანაბარა მიგვატოვა, ჩვენი ინტერესების დასაცავად თითიც არ გაატოკა! მართლაც დაგვამსგავსეს საძოვარზე მიშვებულ ნახირს, ოღონდ იმ საძოვარზე ბალახის ნასახიც არ არის, თანაც, თოკი პრეზიდენტს უკავია ხელში და ენერგიულად გვექაჩება უკან!**

თუმცა... „თელიანი ველის" ახალი ღვინის ქარხნის გახსნაზე პრეზიდენტმა ომახიანად განაცხადა, გააშენეთ ვენახები, მე ვიქნები თქვენი ინტერესების გარანტიო. იგივე გაიმეორა ლაგოდეხში, თუმცა, მშვენივრად იცოდა, რომ მევენახეს, მიწის მუშას ყოველი ფეხის ნაბიჯზე ატყუებენ. ეს ხომ მშრომელი კაცისთვის თვალებში ნაცრის შეყრაა! უბედურება ის არის, რომ ცრუპენტელები პრეზიდენტსაც ატყუებენ!

ამიტომ მინდა ჩვენს პრეზიდენტს ვუთხრა: — **ბატონო პრეზიდენტო, — ნურავის დაუჯერებთ, საკუთარი თვალების გარდა! ხალხში გასვლა არ გაკლიათ, ოღონდ, ვინ არის ის ხალხი, დაოსებამდე „მიშა", „მიშას" რომ გაიძახის? ნუთუ წარსულის მწარე გამოცდილება მხოლოდ იმისთვის გჭირდებათ, რომ წინამორბედთა შეცდომები გაიმეოროთ? დიახაც რომ უნდა შეხვდეთ ხალხს, მაგრამ იმათ კი არა, ვისაც წინასწარ ამზადებენ, ცოტა-ცოტა ფულსაც აძლევენ და სხვა რამესაც, არამედ იმათ, ვინც დღედაღამ თავწახრილი მუშაობს, რათა შვილებს ლუკმა-პური მოუპოვოს. აი, ვის თვალებში ჩახედვა გეტყვით სიმართლეს!** თორემ, რა გამოვიდა, ქვეყანა ნარცისებით აივსო. ნარცისი ხელისუფლება კი ორმაგი უბედურებაა. თავის დროზე კომუნისტები გვატყუებდნენ. მოვიდნენ ეროვნულები, მერე — მოქალაქეები, ახლა — ნაციონალები და ისევ გვატყუებენ! ჰოდა, რაღად გიკვირთ, როცა თქვენი ნათქვამისა აღარაფერი გვჯერა?

ის ავტომაგისტრალი, პრეზიდენტი ხშირად რომ აიქროლ-ჩამოიქროლებს ხოლმე, ამ სოფელზე გადის. მარტო საქეიფოდ და თვალის მოსატყუებლად სიარულით საქმე როდის კეთდებოდა? ამ შემოდგომაზე ერთი წერილი დაიბეჭდა გაზეთში, კახეთი მარტო ქეიფისთვის გინდათო? წერე და იკითხე: ყველაფერი ძველებურად გრძელდება! ხანდახან, როცა დენს გამოიმეტებენ, ტელევიზორს მივუჯდები. ამას წინათ ძალიან განაწყენებული ლაპარაკობდა ჩვენი პრეზიდენტი, ბრმა-ყრუები მოგვიმრავლდნენ, ამდენ საქმეს ვაკეთებთ, ეგენი კი ვერა ხედავენო. **იცოცხლეთ, კარგი გზაც დიდებულია, შეღებილი სახლებიც, შადრევნებიც, სპორტული მოედნებიც, ნაძვის ხეებიც, რევოლუციის წლისთავების ზარზეიმით აღნიშვნაც, მაგრამ... თქვე კაი ხალხო, სოფელი შიმშილით წელში რო გაწყდა, რატო ამას არ მიხედავთ? რა დროს ტაშ-ფანდურია, რა დროს გაუთავებელი მოგზაურობებია! ორი კინკილა ქარხანა უშველის ამდენ გაჭირვებულს?** ამდენი ხილი გვილპება, კაცი არ მოვა და არ წაიღებს, რომ ან ხილფაფა დაამზადონ, ან მურაბა. მახსოვს, ქართული საკონსერვო ნაწარმი რა წარმატებით სარგებლობდა! სირცხვილი არ არის, ტომატი თურქეთიდან ან ირანიდან შემოვიტანოთ? ნახეთ, რა მყრალი ნიორი და ხახვი იყიდება, ამ დროს ეს პროდუქტი ქართლშიც უხვად მოდის და კახეთშიც. რა, ყველაფერი უნდა დაგვავიწყოთ?

**ადრე სტუმარი ცის გახსნასავით მიხაროდა. ბატალიონი რომ მომდგომოდა, გარეთ არაფერზე გავიდოდი. ახლა ერთი კინკილა კაცი რომ გამოჩნდეს, რომელ ღობეს მოვეფარო, აღარ ვიცი — სუფრაზე მისატანი არაფერი მაქვს. ეს არის საქმე?**

ამიტომ მინდა ჩვენს პრეზიდენტს შევეხმიანო: — **„ზეცაში რომ დაჰქრიხარ, ზეცაში რომ ხმიანობ, ერთხელ დაბლაც ჩამოდი, მიწის ამბებს გიამბობ".** ჩამოდი, თორემ ის პატარა იმედიც, ჯერჯერობით კიდევ რომ შემოგვრჩა, შარშანდელი თოვლივით გაქრება. გაქრება და თქვენი დაპირებებიც ჰაერში გამოეკიდება.

**...აი, ასეთი იყო იმ ჩემი მეზობელი ვანოს მონოლოგი. მე არც არაფერი დამიმატებია და არც შემილამაზებია. ასე მოაზროვნე ადამიანებით საქართველო სავსეა. და თუ მათ სატკივარს დროზე არ მივხედეთ, მერე „გვიანი იქნება თავში ხელის ცემანი".**

**ელგუჯა ლებანიძე,**
**გურჯაანის რაიონი.**

⊙ ინფორმაცია

## ოჩოფეხებზე ამხედრებული მსახიობები

**კახა ბაკურაძის** „მოძრაობის თეატრმა" გუშინ რუსთაველის გამზირზე თეატრალური ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით აქცია „მოძრაობის თეატრი — მოძრაობა თეატრისკენ" გამართა.

რუსთაველის გამზირზე „მოძრაობის თეატრის" მიერ მომზადებულ წარმოდგენას მოხეტიალე ცირკის სახე ჰქონდა, რომელშიც საგანგებოდ გამოწყობილი, ოჩოფეხებზე ამხედრებული მსახიობები მონაწილეობდნენ. რუსთაველის გამზირზე მსახიობებმა თეატრალური სარდაფის ტერიტორიიდან თავისუფლების მოედნამდე მოაწყვეს მსვლელობა ცოცხალი ბენდის მუსიკალური გაფორმების თანხლებით. აქციაზე შესრულდა მუსიკალური კომპოზიციები ფლეიტის, საქსაფონის და სხვადასხვა დასარტყამი ინსტრუმენტების თანხლებით.

„მოძრაობის თეატრი" პროექტის ფარგლებში მსგავს აქციებს მართავს როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში.



— პროექტის მიზანს საზოგადოებაში თანამედროვე თეატრისადმი ინტერესის გაღვივება და თეატრის პოპულარიზაცია წარმოდგენს. გარდა ამისა, ამგვარი აქციებით თეატრი სოციალურად დაუცველი ფენებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდება, — განუცხადა ინტერპრესნიუსს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა კახა ბაკურაძემ.

## სომხეთის მოქალაქე ყალბი პასპორტით...

**საქართველოს** სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე ქართველმა მესაზღვრეებმა სომხეთის მოქალაქე დააკავეს, რომელიც საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში გასვლას კანონდარღვევით ცდილობდა.

როგორც ინტერპრესნიუსს სასაზღვრო უწყების პრესსამსახურში განუცხადეს, დაკავების ღონისძიება რეგიონული სამმართველო „აჭარის" სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება „სარფში" განხორციელდა.

სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, მას ყალბი პასპორტი აღმოაჩნდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

## მესაზღვრეებს გერმანელი კოლეგები ეწვივნენ

**საქართველოს** სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტს გუშინ ხუთდღიან სამუშაო ვიზიტად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შსს-ს ფედერალური სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლები ეწვივნენ.

როგორც ინტერპრესნიუსს საქართველოს სასაზღვრო უწყების პრესსამსახურში განუცხადეს, ვიზიტის მიზანს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის შესახებ კანონპროექტის დახვეწა წარმოადგენს. ამ საკითხთან დაკავშირებით გერმანელი ექსპერტები თბილისში ივლისშიც იმყოფებოდნენ.

სამუშაო ჯგუფი საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და შსს-ს წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული. ამ საკითხებზე გერმანელი ექსპერტები ქართულ მხარესთან 2001 წლიდან მუშაობენ. 2002 წელს ექსპერტთა ჯგუფმა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის რეფორმირებასთან დაკავშირებით რეკომენდაციათა პაკეტი შეიმუშავა, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა წარმოადგენს.

## ხელბარგში გადამალული სიგარეტი



**საქართველოს** სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით კონტრაბანდული სიგარეტი ამოიღეს.

როგორც ინტერპრესნიუსს სასაზღვრო უწყების პრესსამსახურში განუცხადეს, რეგიონული სამმართველო „ყაზბეგის" სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება „დარიალზე" მესაზღვრეებმა ხელბარგი აღმოაჩინეს, რომელშიც რუსული წარმოების სიგარეტი იყო გადამალული.

ამოღებულია 530 „ალიანსი", 60 „ტროიკა", 979 ცალი „იავა". საქონელი საბაჟო სამსახურს გადაეცა.

## დამატებით 9 სასწავლო გრანტი გამოიყო

**საქართველოს** განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ალექსანდრე ლომაიას ბრძანებით, 2005-06 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა შვილებისთვის სოციალური პროგრამის ფარგლებში კიდევ 9 დამატებითი სახელმწიფო სასწავლო გრანტი გამოიყო.

როგორც განათლების სამინისტროს კომუნიკაციების დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია მითითებული, ამის პარალელურად, პრიორიტეტულ სპეციალობებზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის ასევე დამატებით 13 სასწავლო გრანტია გამოყოფილი.

**ინტერპრესნიუსი**

⊙ სახელმწიფო ბიუჯეტი

# 2. მაღალი შეფასება... დაბალი შემოსავლის ფონზე

***საგადასახადო** ადმინისტრირების, ეკონომიკის ლიბერალიზაციის სფეროსა და კორუფციასთან ბრძოლის ბოლო დროს გააქტიურებამ და გატარებულმა საინსტიტუციო რეფორმებმა მომავალი წლის ბიუჯეტის შემოსავლის საპროექტო მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ზრდა განაპირობა.*

**ფინანსთა** სამინისტროს მიერ პარლამენტის განსახილველად წარდგენილი 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის ინდიკატორული მაჩვენებლების მიხედვით, შემოსავლისა და გრანტების მთლიანი მოცულობა 2931.7 მილიონ ლარს შეადგენს, რაც, როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, 444,1 მილიონი ლარით, ანუ დაახლოებით 18 პროცენტით აღემატება წლევანდელ მთლიან მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ ინდიკატორული გეგმის თანახმად, შემოსავლისა და გრანტების მთლიან მოცულობაში, საკუთარ შემოსავალზე მოდის 2788,5 მილიონი ლარი, ხოლო დანარჩენი 143,2 მილიონი ლარი — გრანტებზე. როგორც ვარაუდობენ, გაისად სახელმწიფო შემოსავალმა სამი მილიარდი ლარის ნიშნულს მნიშვნელოვნად უნდა გადააჭარბოს.

ასევე მნიშვნელოვნად — 540 მილიონი ლარით, ანუ 31,5 პროცენტით გაიზრდება საგადასახადო შემოსავალი, რაც, ბიუჯეტის კანონპროექტის თანახმად, შემოსავლის მოზიდვის ადმინისტრირების გაუმჯობესებით, ასევე ფარული ეკონომიკის მასშტაბების შემცირების ხარჯზეა ნავარაუდევი.

ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, საგადასახადო ბაზის გაფართოებისა და რეალური ეკონომიკის ზრდა მომავალ წლებში მთავრობის ზრუნვის პრიორიტეტი უნდა გახდეს. ახალი საგადასახადო კოდექსის შემოღების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო საგადასახადო ტვირთის შემცირება. მართალია, მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რამდენად რეალურადაა მიზანი მიღწეული, ჯერჯერობით ნაადრევია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. საგადასახადო ტვირთის შემცირებას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოსთვის სწორედ ამ ეტაპზე აქვს, როცა ფრთა უნდა შეესხას მრავალ ახალ ეკონომიკურ ინიციატივას. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ახლად მიღებული საგადასახადო კანონმდებლობა არ უნდა განიხილებოდეს, როგორც რაღაც „გახევებული", „გარქოვანებული" სისტემა, რაც, თავის მხრივ, უფრო მოქნილი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებაზე ზრუნვას, სისტემის ოპტიმიზაციის მიზნით საგადასახადო კანონმდებლობის ფართომასშტაბიანი მონიტორინგის სისტემის დანერგვას გულისხმობს. ამ მხრივ მუშაობა ორი მიმართულებით უნდა წარიმართოს: 1) საგადასახადო განაკვეთები ხშირად არ უნდა შეიცვალოს, რათა მეწარმეებმა, საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა შეძლონ საკმარისად გრძელვადიანი გეგმების შედგენა და კონიუნქტურის პროგნოზირება და 2) შესაძლებელი უნდა იყოს, შეიცვალოს ისეთი საგადასახადო განაკვეთები და ადმინისტრირების მეთოდები, რომელთა შეცვლა საჭიროა მათი არაეფექტიანობის, ანდა საგარეო ვაჭრობის პირობების შეცვლის გამო.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის დონის გაზრდის რეზერვების ამოქმედება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მეთოდების გაუმჯობესებაზე, ეროვნული მეურნეობის ტრადიციული დარგების აღორძინებაზე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **საჭირო იქნება ქვეყნის საგადასახადო ბაზის გაფართოება და პირდაპირი გადასახადების როლის ამაღლება.**

აღსანიშნავია ისიც, რომ პარლამენტის განსახილველად ფინანსთა სამინისტროს მიერ წარდგენილ 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათში, ბიუჯეტის შემოსავალი მოყვანილია მხოლოდ ციფრების სახით, ფაქტობრივად, არსებული ფისკალური სიტუაციის გაუთვალისწინებლად და მოსალოდნელი პროგნოზის სრულად წარმოდგენის გარეშე, ასახული არ არის ცალკეული სახეობის შემოსავლის ზრდის მოცულობის დასაბუთება. განსაკუთრებით ეს ეხება აქციზისა და დღგ-ის გადასახადებს. პროექტში წარმოდგენილი არ არის სხვაობა ძირითადი აქციზური პროდუქციიდან (ნავთობპროდუქტები, თამბაქო, ალკოჰოლიანი პროდუქცია) მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლებსა და რეალურად არსებულ საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების პოტენციალს შორის.



საქმე ის გახლავთ, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, აქციზი ნავთობპროდუქტებიდან და თამბაქოს იმპორტიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა. არადა, მიუხედავად იმისა, რომ ამ აქციზურ პროდუქციას, რომელზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საბაჟოდან მიღებული მთლიანი შემოსავლის მოცულობა, დიდი წილი უნდა ჰქონდეს ინდიკატორ მაჩვენებელში, სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საბაჟოდან მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილი განსაზღვრულია მხოლოდ 17,3 პროცენტის ოდენობით, ანუ შარშანდელთან შედარებით მხოლოდ... 1,4 პროცენტითაა გაზრდილი (?!). აქვე იმასაც დავძენთ, რომ ეს მაჩვენებელი სიდიდით 2002 წლის მაჩვენებელსაც კი ჩამორჩება, როცა ნავთობპროდუქტებიც და თამბაქოს ნაწარმიც გაცილებით დაბალი განაკვეთებით იბეგრებოდა!

**ამდენად, ეჭვი არ არის, რომ საჭიროა საბაჟოდან მიღებული შემოსავლის დაგეგმვის სისტემის დახვეწა და რეგისტრირებულ იმპორტში საბაჟო გადასახდელებით დასაბეგრი იმპორტის მოცულობის გაზრდა, ვინაიდან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ გაზრდილია, ასე ვთქვათ, „ლეგალური კონტრაბანდა", ანუ იმპორტული საქონლის რეგისტრაცია კი ხდება, თუმცა იგი კანონდარღვევით მოექცევა დაუბეგრავ ან შეღავათიან საბაჟო რეჟიმში.**

შემოსავლის არასრულყოფილი დაგეგმვის გამო კი წლის განმავლობაში მთავრობას უხდება მისი პარამეტრის ხშირი ცვლა, რაც, თავის მხრივ, იწვევს ეჭვს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის დონე წინასწარვე დაბალი აბსოლუტური მნიშვნელობით იგეგმება, ხოლო შემდეგ მისი გადაჭარბება მთავრობის მუშაობის მაღალი შეფასების მიზეზი ხდება.

**ოთარ ტურაბელიძე**
გაგრძელება იქნება

⊙ დედაქალაქი

# რიყე დიდი არქიტექტურული ზეიმის ღირსია!

(მესამე გვერდიდან)

რიყე ჭამა-სმის უბნად ჩამოყალიბდა. მომლხენთა მყუდროებას, დრო და დრო მუსიკალური ფესტივალები თუ სხვა საზოგადოებრივი ღონისძიებები არღვევდა. განვლილმა წლებმა გვიჩვენა რიყისადმი ბიზნესის დაუოკებელი ლტოლვა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ხან ერთი, ხან მეორე „ძალა" დაეპატრონებოდა ტერიტორიას. ძალთა ბარომეტრი იცვლებოდა იმის მიხედვით თუ რომელი კლანის ნათესავები, პარტნიორები, ლობისტები ფლობდნენ საკვანძო პოზიციებს მერიაში, პარლამენტში, ხელისუფლებაში. რყევები ხშირი იყო და იგი შესაბამებოდა ცვლილებებს ზემოთ ხსენებულ ინსტანციებში.

2003 წელი რიყისთვის კრიზისული იყო. 2003 წლის 2 მაისს არქიტექტურის სამსახურის ქალაქგეგმარებითმა საბჭომ, მიუხედავად საბჭოს ერთი ნაწილის მკვეთრი წინააღმდეგობისა, შეითანხმა თბილისის ისტორიული ნაწილის დეტალური დაგეგმარების პროექტი, რომლის საკვანძო საკითხი სწორედ რიყე იყო. პროექტი გულისხმობდა რიყის ტერიტორიის 9 ნაწილად დაყოფას, ამ ნაწილების, შესაძლოა გაერთიანებული ნაკვეთების გაყიდვას და შემდგომ ცალკეულ მეპატრონესთან „მუშაობით", მათი აზრის, მოთხოვნების, უფრო სწორად მათი დიქტატით რიყის უბნის არქიტექტურულ-სივრცობრივ ფორმირებას. ეს ნამდვილი არქიტექტურული ხარაკირი იყო. ნაცვლად იმისა, რომ ინვესტორისთვის შეგვეთავაზებინა ქალაქის და საზოგადოების მიერ აპრობირებული არქიტექტურული ორგანიზმის რეალიზაცია, ჩვენ, თვითონ ვთავაზობთ თამაშის ისეთ წესს, რომელიც უსათუოდ მიგვიყვანდა არქიტექტურულ კუსტარულობასთან. ამ უპრეცედენტო სვლის უკან ნათლად სჩანდა სერიოზული მერკანტილური ინტერესები, რომელიც მოგვიანებით გამჟღავნდა კიდეც.

2003 წლის 6 ნოემბერს გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტის ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის № 1420 განკარგულება — „ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე ქართული ვაზისა და ღვინის სასახლე-მუზეუმის დაფუძნების შესახებ", რისთვისაც თბილისის მერიას ეთხოვა, „რიყეზე შეარჩიოს შესაფერისი ფართობი და პირდაპირი განკარგვის წესით, ნორმატიულ ფასებში გადაეცეს ის დავით სარაჯიშვილის



სახელობის საერთაშორისო ფონდს". ასე ჩამოეჭრა რიყის გადარჩენილ ტერიტორიას 6000 კვ. მ. ფართობი. ყველაფერი ეს მოხდა რიყის ტერიტორიის გასხვისების წინააღმდეგ მკაფიოდ ნეგატიური საზოგადოებრივი აზრის და პრეზიდენტისადმი არქიტექტორთა ერთი ჯგუფის არგუმენტირებული მიმართვის მიუხედავად.

ამასობაში საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა. ახალი პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება ზემოთ ხსენებული განკარგულების გაუქმება იყო, რაშიც გადამწყვეტი როლი თბილისის საკრებულოს მკაფიო პოზიციამ ითამაშა.

არაფერია სასიამოვნო მსგავსი კოლიზიების გახსენებაში, მაგრამ ახალგაზრდა ხელმძღვანელებმა უნდა იცოდნენ მათ წინაშე მდგარი პრობლემების ისტორია, რომლის გარეშეც სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაჭირდება. **სამწუხაროა, რომ დღეს ერთი ხელის მოსმით ვსპობთ მემკვიდრეობითობას. მთელ რიგ სახელმწიფო სტრუქტურებში არ დარჩა „ამბის მიმტანიც" კი, მცოდნე იმისა, თუ რა იყო გუშინ.**

ამბობენ, შიშს დიდი თვალები აქვსო. ქარვასლაში რიყის პროექტის „პრეზენტაციაზე" მე გარკვეული საშიშროება დავინახე. სრული კატეგორიულობით ვაცხადებ და ამ პოზიციას იზიარებს არქიტექტორთა აბსოლუტური უმრავლესობა, დარწმუნებული ვარ — ფართო საზოგადოებაც: რიყე უნდა შეიქმნას დიდი არქიტექტურის, დიდი ხელოვნების შობის, დაბადების წესითა და კანონზომიერებებით. ამ მიზნით უნდა განიმსჭვალოს საზოგადოებაც და ხელისუფლებაც. მსოფლიოში არსებობს დიდებული ტრადიცია, აღნიშნონ მნიშვნელოვანი ეროვნული მოვლენები არქიტექტურის ტრიუმფალური თაღებით, ობელისკებით, საუნივერსიტეტო თუ სპორტული კომპლექსებით, ახალი დედაქალაქითაც კი. რიყის მიმდებარე არეალი, არქიტექტურული გარემო, ღმერთის მიერ ბოძებული ლანდშაფტის და ურბანისტული კულტურისა და ტაქტის განსაკუთრებული ნიმუშია. ეს საგანძური სრულიად საქართველოს და მსოფლიოს კუთვნილებაა. რიყე დიდი არქიტექტურული ზეიმის ღირსია, რიყე 35 წელია ამ ზეიმის მოლოდინშია. რიყე უნდა იქცეს საქართველოს დამოუკიდებლობის ძეგლად.

აუცილებელია კონკურსი რიყის კონცეფციაზე, რომელმაც უნდა დაადგინოს ძირითადი პრინციპები, მხატვრული, ფუნქციური. გამარჯვებული კონცეფცია საფუძვლად უნდა დაედოს ზუსტ საპროექტო დავალებას, მხოლოდ პროექტის საფუძველზე შეიძლება ინვესტორების მოწვევა.

**ვახტანგ დავითაია,**
**რუსთაველის პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი.**

**P. S. ამ წერილით მსურს დავიწყოთ რიყის პრობლემის საზოგადოებრივი განხილვა. ჩემს პოზიციას რიყის არქიტექტურულ-მხატვრულ და ფუნქციურ საკითხებზე მომდევნო წერილში მოგახსენებთ. ვფიქრობ, თბილისელები გულგრილნი არ დარჩებიან ქალაქის ამ უნიკალური უბნის ბედის მიმართ და გამოგვეხმაურებიან.**
**ვ. დ.**

⊙ ყოფა

# „წყალი რად გინდათ, ღვინო დალიეთ(?!)"

**წასულ ზაფხულს, 10 ივლისს, თქვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა ვრცელი მასალა სათაურით — „მომიტანდე, შემასმევდე..." („თბილწყალკანალი" — გუშინ, დღეს, ხვალ"). იგი მოგვითხრობდა სასმელი წყლით დედაქალაქის მომარაგების მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებზე. იქ ლაპარაკი იყო იმაზეც, რომ თბილისის ბევრ რაიონში (ვარკეთილი, ვაზისუბანი) მოსახმარად უვარგისი წყალი მოდის — აქვს საშინელი სუნი და გემო. ამაზე ტელეარხებიც ალაპარაკდნენ. „თბილწყალკანალის" ხელმძღვანელობამ ფაქტი აღიარა, სანიტარიულმა სამსახურებმა კი გვირჩიეს, გადადუღებული წყალი დალიეთო.**

„თბილწყალკანალის" მესვეურთა განმარტებით, „გაზაფხული და ზაფხულის პირველი თვე მართლაც უმძიმესი იყო — გაჭიანურდა წყალმატებისა და წყალდიდობის პერიოდი. ძველ პროფესიონალებსაც უკვირთ, ისეთი ოდენობის ნალექი მოვიდა. ნიაღვრების შედეგად ჭოპორტი-ბულაჩაურის მონაკვეთზე დაზიანდა 1100 მილიმეტრი დიამეტრის 1200 მეტრი სიგრძის მილი. **არაგვის ხეობიდან წყალმომარაგება ორი მესამედით შემცირდა. აი, ამან გამოიწვია მკაცრი გრაფიკის შემოღება. წყლის მიწოდება იმ უბნებსაც შეეზღუდათ, რომელთაც გრაფიკზე წარმოდგენაც არა ჰქონდათ.** ძირითადი დატვირთვა გადავიდა ღრმაღელისა და სამგორის საფილტრო სადგურებზე. ნორმალურ ვითარებაში დედაქალაქს წამში 21 კუბური მეტრი წყალი მიეწოდება, აქედან 11 არაგვზე მოდის, 5-5 — ღრმაღელსა და სამგორზე. ამ სადგურებს საჭირო სიმძლავრე ისედაც არა აქვთ, თანაც, ელექტროენერგიის ხარჯვა ზენორმატიულია. დედაქალაქის ძირითადი მომარაგება თბილისის ზღვას დააწვა".

აი, ასეთი იყო „თბილწყალკანალიდან" მიღებული ოფიციალური განმარტება. მაშინ ისიც გვითხრეს, რომ „ეს პერიოდი ქვირითობასა და წყალმცენარეთა ყვავილობას დაემთხვა, სუნისა და გემოს შეცვლაც ამან გამოიწვია. როგორც წესი, ასეთ დროს თბილისის ზღვის წყლის გამოყენებას ვამცირებთ ხოლმე, ახლა კი თავს ზემოთ ძალა არა გვქონდა". **შექმნილ ვითარებაში თავისი წვლილი შეჰქონდა ამორტიზებულ ქსელსაც, რომლის განახლებისთვის სერიოზული სამუშაოები მიმდინარეობდა.** სხვათა შორის, მაშინ საუბარი იყო ე. წ. ოპტიმიზაციის უზრუნველყოფაზე, რაც მობილური კოლექტივის შექმნასა და მაღალანაყოფიერ შრომას გულისხმობდა. ეს ღონისძიება მიესადაგებოდა ტექნიკურ სიახლეებს, რომელთა უპირველესი მიზანი წყლით მომარაგებისა და ხარისხის გაუმჯობესება იყო.

ზემოხსენებული წერილის გამოქვეყნებიდან ოთხ თვეზე მეტი გავიდა. არ ვიცი, რა ფაზაშია რეფორმები, რა ტექნიკური სიახლეების დანერგვა მოახერხეს „თბილწყალკანალში". მხოლოდ ერთი რამ არის ცნობილი — ათეული წლების მანძილზე ამ უწყების უცვლელი ხელმძღვანელი იუზა ცარციძე „დამსახურებულ პენსიაზე" გაისტუმრეს. **ვვარაუდობთ, რომ ახალმა ხელმძღვანელობამ, როგორც ასეთ დროს არის მიღებული, საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი. ისიც გვესმის, რომ უაღრესად რთულ სისტემას ერთბაშად ალღოს ვერ აუღებს და ვერც ვარკეთილისა და ვაზისუბნისთვის მოიცლის, მაგრამ... ასე გაგრძელება შეიძლება მომდევნო ოთხ თვეშიც და დაუსრულებლადაც. ამის გამოა, რომ ეს ორი მიკრორაიონი ისევ აქოთებულ სასმელ წყალს იღებს, გამკითხავი კი არ ჩანს.**



ეტყობა, თბილისის ზღვა ვერ აუდის ხარჯს, ამიტომ დახმარება სჭირდება. ეს დახმარება, ალბათ, ისევ ჭოპორტი-ბულაჩაურის მილსადენმა უნდა იკისროს. მით უმეტეს, რომ მილსადენი წერილის გამოქვეყნების დროს უკვე მწყობრში იყო.

ამასობაში ვარკეთილელები ხუმრობენ, კახეთთან ახლო ვართ, წლეულს კი კახეთში ყურძნის კარგი მოსავალი იყო, ჰოდა, წყალი რად გვინდა, ბარემ ნაღდი ღვინო ვსვათო.

საინტერესოა, „თბილწყალკანალშიც" ასე ხომ არ ფიქრობენ?

**გუჯა რთველაძე,**
**ვარკეთილი — ვაზისუბანი.**

◎ გენერალისიმუსის გზა

კორჩკენ საქტანოვი

# უცნობი სტალინი

მეორე ნაწილი

... **მაგრამ** სტალინის გაანგარიშებათა საწინააღმდეგოდ, ჰიტლერი მზად იყო სსრ კავშირთან ომისათვის არა ორმოცდასამ ან ორმოცდაოთხ წელს, არამედ უკვე ორცდაერთი წლის შუახანებში. მაგრამ სტალინს ეს არ სჯეროდა. მას კვლავაც პროვოკაციად მიაჩნდა ყველა გაფრთხილება სსრ კავშირთან საომრად გერმანიის მზადების შესახებ, ამ აზრს უმკვიდრებდა მოლოტოვიც, რომელიც ამ გაფრთხილებებს დედაკაცთა ჭორებს უწოდებდა. მაგრამ იმის გამო, რომ გაზაფხულზე სსრ კავშირის საზღვართან შეიმჩნეოდა ჰიტლერის „ძლევამოსილი არმიის“ თავმოყრა, სტალინმა პირადი კითხვა გაუგზავნა ჰიტლერს: ვერ გაუია მის მიერ პოლონეთის გავლით არმიის გადასროლისა და საზღვართან ჯარების თავმოყრის მიზეზები. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს თავდაუსხმელობის პაქტი. ჰიტლერი თავის პასუხში სტალინს არწმუნებდა, რომ რკინისამებრ ურღვევია მათი ხელშეკრულება და განმარტავდა თავისი ჯარების გადაადგილების მიზეზს — ინგლისელთა ბომბდამშენების მიერ ცენტრალურ გერმანიაზე თავდასხმების გაძლიერებას, და ამის გამო სურს ჯარების გამოყვანა და მათი დროებით განლაგება ალმოსავლეთში. ამასთან ფიცით დაადასტურა, რომ ზემოთ ნახსენები პაქტი დებულებათა დაცვა არა მხოლოდ თვით მისი, არამედ მთელი გერმანელი ხალხის ღირსების საქმეა. სტალინმა მას დაუჯერა. მან ასე გაიანგარიშა: თუ ჰიტლერის თავდასხმას ორი-სამი თვით შეაკავებს, უკვე შემოდგომაც დადგება. შემოდგომაზე ჰიტლერი ვერ გაბედავს ომის გაჩაღებას, შედეგად კი მოიგებს კიდევ ხუთ-ექვს თვეს, ამ ხნის მანძილზე შეიძლება საფუძვლიანად მოემზადოს ომისათვის. მაგრამ ჰიტლერი, რომელმაც ფიცით დაარწმუნა სტალინი თავდაუსხმელობის პაქტის დაურღვევლობის შესახებ, უკვე ორი თვის შემდეგ თავის მოკავშირეს მუსოლინის აცნობს საკუთარ გეგმას „პირისაგან მიწისა სამუდამოდ აღგავოს რუსეთი“, ხოლო წერილი ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა:

**„დუჩე!..**

**დღევანდელი დღე ჩემი ცხოვრების უბედნიერეს დღედ მიმაჩნია, რამდენადაც დღეს საბოლოოდ გადაწყდა საკითხი, რომელიც დიდი ხანია მაწუხებდა. ხვალ დილით, გამთენიისას, ჩვენი არმია რუსეთის საზღვარზე გადავა და მისი გულისაკენ — მოსკოვისაკენ გაემართება. საბჭოეთთან ომი, ჩემი რწმენით, ადვილი არ იქნება, მაგრამ აბსოლუტურად ეჭვი არ მეპარება წარმატებაში, იმაში, დუჩე, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. უწინარესად უკრაინაში უნდა შევქმნათ ფართო სასურსათო და მატერიალური ბაზა არმიის საჭიროებისათვის, თუ ზამთრის დადგომამდე ვერ მოვასწრებთ მოსკოვის აღებასა და დედაბუდიანად მის დანგრევას, მაშინ მოგვიწევს ზამთრის კამპანიისათვის არანაკლებ სამოცი-სამოცდაათი დივიზიის რუსეთში დატოვება.**

**1941 წლის 21 ივნისი,**
**ადოლფ ჰიტლერი“.**

ასე გაჩაღდა დაუნდობელი, ყველაზე სისხლიანი ომი ისტორიაში. როგორი მდგომარეობა იყო საბჭოთა არმიაში ომის წინ?

თავდაცვის სახალხო კომისარიატის სამხედრო საბჭო შედგებოდა 85 საყოველთაოდ ცნობილი წევრისაგან. მათ შორის მხოლოდ რვამ დააღწია თავი რეპრესიებს. ესენი იყვნენ: კ. ვოროშილოვი, ს. ბუდიონი, ს. ტიმოშენკო, ო. გოროდოვიკოვი, ი. აფანასენკო, ა. ხრულევი, ბ. შაპოშნიკოვი, კ. მერეცკოვი.

ხუთი საბჭოთა კავშირის მარშლიდან სამი დახვრიტეს — მ. ტუხაჩევსკი, ა. ეგოროვი, ვ. ბლიუხერი, ცოცხალი დარჩა ორი — ვოროშილოვი და ბუდიონი.

ორი პირველი რანგის კომისარიდან (ი. გაბარანიკი, პ. სმირნოვი) ორივე დახვრეტილია.

ხუთი პირველი რანგის მეთაურიდან სამი — ი. იაკირი, ი. უბორევიჩი და ი. ბელოვი — დახვრეტილი არიან.

ორი პირველი რანგის ფლოტის ფლაგმანიდან ორივე დახვრეტილია.

მეორე რანგის თორმეტივე მეთაური დახვრეტილია.

მეორე რანგის თხუთმეტივე სამხედრო კომისარი დახვრეტილია.

67 კორპუსის მეთაურიდან 60 დაპატიმრებულია, მათ შორის 9 დახვრეტილია.

15 მეორე რანგის ფლაგმანიდან 9 დახვრეტილია.

199 მეთაურიდან 136 დაპატიმრებულია, მათგან 125 დახვრეტილია.97 დივიზიონის კომისრიდან 79 დაპატიმრებულია, 69 დახვრეტილია.

397 დივიზიის მეთაური დაპატიმრებულია, 220 დახვრეტილია.



1937 წლის მაისიდან დაწყებული 1938 წლის სექტემბრის ჩათვლით დააპატიმრეს 36761 წითელი არმიის მხედართმთავარი, 3 ათასზე მეტი საჰაერო და საზღვაო ფლოტის სამხედრო მოსამსახურე. საბოლოო ჯამში დაპატიმრებულ და დახვრეტილ იქნა 40 ათასზე მეტი სამხედრო.

არასდროს ისტორიაში არ ყოფილა ასეთი გაუგონარი შემთხვევა, რომ უთუოდ მოსალოდნელი ომის დაწყების წინ ასეთი დაუნდობლობით არმიის საუკეთესო წარმომადგენლები გაენადგურებინათ!

აი, ასეთ მომენტში, როდესაც არმიას გამოაკლდა საუკეთესო მხედართუფროსები, დაიწყო სწორედ თავისი სისასტიკით საშინელი ომი.

* * *

**ომამდე**, განსაკუთრებით სიცოცხლის მესამოცე წელს, როდესაც მისი სახელი მთელ მსოფლიოში ქუხდა, და ყოველ დღე დიდ სახელმწიფო და მსოფლიო პრობლემებს ჭრიდა, როდესაც დღე და ღამ მის გვერდით იდგნენ დიდი ძალაუფლებით აღჭურვილი ადამიანები და მხოლოდ იმის მოლოდინში იყვნენ, რით ესიამოვნებინათ იგი, როდესაც თითოეული მისი სიტყვა და ყოველი აზრი ყველასათვის კანონი იყო, იმიტომ ხომ არა, რომ ცხოვრება სწრაფად მიჰქროდა, მაგრამ სტალინის სულის სიღრმეში სევდამ დაისადგურა, მან თავი მარტოსულ ადამიანად იგრძნო ამ სამყაროში, რის გამოც მისი სული კვნესოდა, და რაოდენ ძლიერიც უნდა ყოფილიყო მისი ნებისყოფა, ვერ შეძლებდა ამ ტკივილის ჩახშობას, და სულ უფრო სიტყვაძვირი ხდებოდა, და ყველასაგან შეუმჩნევლად მარტოხელა ადამიანის განცდა დაეუფლა. ამ ავადმყოფობისაგან განკურნა მოულოდნელად დაწყებულმა ომმა. მთელი კვირის მანძილზე სწორედ იმ მომენტიდან, როდესაც მტრის მოულოდნელი შემოჭრის ამბავი მოახსენეს, სტალინი შოკირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

სტალინი საოცრად გაკვირვებული იყო იმით, რომ „მეგობარმა“ ჰიტლერმა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ხელშეკრულების ერთგულებას ეფიცებოდა, ვერაგობა გამოავლინა არა ორმოცდაორ წელში, არამედ ორმოცდაერთში. მას ეჩვენებოდა, რომ მთელი ხალხის, მთელი მსოფლიოს სასაცილო ტიკინად იქცა, რომ ყველა წყევლის ფაშიზმთან დადებულ მის ხელშეკრულებას. მაგრამ გავიდა დრო და ჰიტლერს საკმარისად მიეზღო არა მარტო მოსკოვთან, არამედ სტალინგრადთანაც, და თვით ფელდმარშალი პაულიუსი ტყვედ იქცა.

სტალინგრადთან ამ დიადი გამარჯვების აღსანიშნავად კრემლში გაიმართა უზენაესი საბჭოს საზეიმო სხდომა, ხოლო შემდეგ სტალინთან — ვახშმობა, რომელშიც პოლიტბიუროს წევრების გარდა მხედართუფროსებიც მონაწილეობდნენ.

კრემლში სტალინის სამოთახიანი ბინა სვერდლოვის დარბაზის გვერდით მდებარეობდა. მის ვრცელ შენობაში მუშაობდა სწორედ სტალინი და აქ იწვევდა ახლო ნაცნობ მხედართუფროსებს. უკვე ხანდაზმულ, შინამოსამსახურე რუს ქალს მატრონა ივანოვნას მეტისმეტად უყვარდა სისუფთავე, ისევე როგორც სტალინს, ყველაფერში მარჯვე ქალს, სამივე ოთახი იდეალურ სისუფთავეში ჰქონდა — იქაურობას სულ წკრიალი გაუდიოდა. სტალინი განსაკუთრებულად კმაყოფილი იყო ამით და პირადი დაცვის უფროსს ვლასიკს ავალებდა ხოლმე დღესასწაულებისათვის უთუოდ მოემზადებინა საჩუქრები თავისი ქალიშვილის სვეტლანასა და მატრონა ივანოვნასთვის. მთელი საქალეთიდან ყურადღებას მხოლოდ ამ ორს უთმობდა, მხოლოდ ამ ორის ნახვის სურვილი ჰქონდა, მხოლოდ ამ ორს უგდებდა ყურს.

სტალინი ახალგაზრდობიდანვე არ იყო გატაცებული ქალებით. ამიტომ ხომ არ იყო, რომ დაწყებული ოცდათორმეტი წლიდან, უფრო სწორად ნადეჟდა ალილუევას სიკვდილის შემდეგ, გაგონებაც არ სურდა დაქორწინებაზე. საჭიროა კი? როგორც ჩანს, მიზეზი მის მუშაობის რეჟიმში იმალებოდა: იგი ბევრს კითხულობდა, თავაუღებლად მუშაობდა და ბევრს ეწეოდა. დღე და ღამ იყო სამუშაოზე, სახელმწიფო პრობლემების გადაჭრაში, დღე და ღამ ურთიერთობა ჰქონდა ადამიანებთან, ძილიც შიგადაშიგ უხდებოდა... რაღა დროს, ეშმაკმა წაიღოს, ქალი იყო?..

არათუ ქალი, საკუთარი თავიც ავიწყდებოდა. მთელი დღის მანძილზე მკვლავმოუღლელი შრომისაგან ისე იღლებოდა, რომ საღამოთი ფეხზე დგომის თავიც აღარ ჰქონდა.

... ჩვენ კი ვახშამს მივუბრუნდეთ. როგორც ჩვეულებრივ სუფრაზე ეწყო ხორცისა და ბოსტნეულის მრავალნაირი საუზმეული, წინწაკის ნაყენი (არაყი), კონიაკი, ქართული ღვინო. სტალინმა, ჩვეულებისამებრ, ღვინო თვითონ დაისხა. საზღვაო ფლოტის კომისრის მოადგილემ ივანე ისაკოვმა, ეს რომ დაინახა, სურდა თავისთვის ღვინო დაესხა. სტალინმა შენიშვნა მისცა:

— ამხანაგო ისაკოვ... წიწაკის ნაყენი დაისხით... შეხედეთ ვოროშილოვს, ლოყები ატმის ყვავილივით უღვივის. იმიტომ რომ წიწაკის არაყს სვამს.

**(გაგრძელება იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 257-262, 265-268, 274-276.



## ხაბაროვსკში ბენზოლის ლაქის მოახლოებას ელიან

**როდის მიუახლოვდება მდინარე ამურით ბენზოლის ლაქა ხაბაროვსკს? ამ საკითხში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა შეფასებები კარდინალურად განსხვავდება ერთმანეთისგან.**

საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს რეგიონული ცენტრის მტკიცებით, შხამიანი ლაქა ამურში მოხვდება 6-8 დეკემბერს და მხოლოდ აქედან სამი დღის შემდეგ მიაღწევს ხაბაროვსკამდე.

თავის მხრივ, „რუსეთბუნებაზედამხედველობის“ თავმჯდომარის მოადგილეს ოლეგ მიტვოლს მიაჩნია, რომ ბენზოლის ლაქა ქალაქს სამ-ოთხ დღეში მიუახლოვდება.

როგორც მან თქვა, ამურის ერთ-ერთ შენაკადში აღებულმა წყლის სინჯებმა დაადასტურა, რომ იგი მართლაც შეიცავს ბენზოლის ისეთ რაოდენობას, რომელიც ოდნავ აღემატება ზღვრულად დაშვებული კონცენტრაციის დონეს.

ხაბაროვსკის არტეზიული ჭაბურღილების დაცვის მიზნით, მოქმედებენ მილიციელთა სადღეღამისო საგუშაგოები.

როგორც ცნობილია, ბენზოლი ამურის შენაკადში ჩაიღვარა 13 ნოემბერს ჩინეთის ქიმიურ ქარხანაში მომხდარი აფეთქების შედეგად. ამურის შენაკადზე წყლის გაჭუჭყიანების შედეგად წარმოქმნილი ლაქა 80 კილომეტრზე გადაიჭიმა.

ყოველივე ამის შედეგად, წყალმომარაგების პრობლემები შეექმნა ჩინეთის ქალაქ ხარბინს, რომელშიც თითქმის ოთხი მილიონი კაცი ცხოვრობს. ამჟამად ქალაქში უკვე აღდგენილია წყლის მიწოდება.

ჩინეთმა უკვე მოუხადა რუსეთს ოფიციალური ბოდიში ამ ავარიის გამო. პეკინის ხელისუფლება იძიებს აფეთქების გამომწვევ მიზეზებს და აღნიშნავს, რომ საჯაროდ გამოაცხადებს გამოძიების შედეგებს.

## უცხოელ სტუდენტებს რუსეთში რასისტების ეშინიათ

**რუსეთის ქალაქი ვორონეჟი საღამოობით საკმაოდ საშიში ადგილი ხდება, მით უმეტეს — უცხოელებისთვის.**

ეს ქალაქი თავის უმაღლეს სასწავლებლებში ათწლეულების განმავლობაში იღებდა უცხოელ სტუდენტებს, მაგრამ ახლა ვორონეჟში მკაფიოდ ვლინდება ტენდენცია, რომელიც რუსეთის სხვა რეგიონებშიც შეინიშნება — მკვეთრად იმატა რასისტულ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულობათა რიცხვმა.

ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ვორონეჟში მოკლეს ორი უცხოელი სტუდენტი. ბოლო



მსხვერპლი იყო პერუელი სტუდენტი, რომელიც სულ რამდენიმე კვირის წინ დაიღუპა. „სკინჰედების“ ბანდა ენრიკე ურტადოს სპორტულ კომპლექსთან დაესხა თავს. 18 წლის პერუელი სასიკვდილოდ სცემეს რკინის კეტებით, მისი თანამემამულე და კიდევ ერთი სტუდენტი — ეროვნებით ესპანელი — გონებადაკარგული იპოვეს. ამ ტრაგედიამ მიიპყრო საზოგადოებრიობის ყურადღება, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლებას არ სურს აღიაროს ასეთი მძიმე პრობლემის არსებობა.

ვორონეჟში სტაჟირებისთვის გაგზავნილი ბრიტანელი სტუდენტები ძალზე შეშფოთებულები არიან ამის გამო. საღამოობით ისინი შინიდან მარტო გამოსვლას ვერ ბედავენ, რადგან თავდასხმის ეშინიათ.

უნდა ითქვას, რომ ვორონეჟში სულაც არ არის ძნელი, იპოვოთ ისეთი მოქალაქე, რომელიც საჯაროდ აფიქსირებს თავის ნაციონალისტურ განწყობას. ამისთვის საჭიროა, სულ რამდენიმე წუთი დაჰყოთ ქალაქის ცენტრში მდებარე ბაზართან. „რუსეთი მხოლოდ რუსებისთვისაა“, „ყველა უცხოელს რუსეთის დანგრევა სურს. დაე, დაბრუნდნენ იქ, საიდანაც ჩამოეთრნენ!“ — ასეთ გამონათქვამებს ხშირად გაიგონებთ.

ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ვორონეჟის ეკონომიკა კარგა ხნის განმავლობაში დაქვეითებას განიცდიდა, მრავალი ქარხანა, უბრალოდ, დაიხურა. შესაძლოა, უმუშევრად დარჩენილი ადამიანები თავს ბედის ანაბარად მიტოვებულებად მიიჩნევენ და ჯავრს იყრიან „მდიდარ უცხოელებზე“, რომლებიც მათ ქალაქში ჩამოდიან სასწავლებლად.

თუმცა, არსებობს მეორე მიზეზიც — რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ წამოწყებული კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთის მოქალაქეებში ეროვნული სიამაყის და პატრიოტიზმის აღორძინებას. მართალია, პრეზიდენტი თანამოქალაქეებს რასისტულ იდეებს არ უქადაგებს, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ მრავალი მათგანი არასწორად განმარტავს ამ მოწოდებას და აღიქვამს მას, როგორც გამართლებას უცხოელების მიმართ სიძულვილისთვის.

## მოკლედ

**მაიამის** პოლიცია განახორციელებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საჩვენებელ აქციებს. პოლიციის უფროსის მოადგილემ ფრანკ ფერნანდესმა განაცხადა, რომ პოლიციელებს, მაგალითად, შეუძლიათ სრულიად მოულოდნელად შემოარტყან ალყა ბანკის შენობას, შეამოწმონ ყველა იმ პირის საბუთები, რომლებიც ბანკში შედიან და გამოდიან, გარდა ამისა, მათ დაურიგონ სპეციალური ბუკლეტები ტერორიზმის საფრთხის შესახებ.

* * *

**ამერიკაში,** ქალის თეთრეულის მაღაზიების ვიტრინებში ცოცხალ მოდელებს დააყენებენ. „მე ვეძებდი არცთუ ისე ძვირ სამარკეტინგო იდეას, — თქვა ერთ-ერთი მაღაზიის მფლობელმა ფელისია სტოკფორდმა. — ჰოდა, ვიფიქრე, რადგან ჩემს მაღაზიას დიდი ვიტრინა აქვს, ხომ შეიძლება იქ დავაყენო სამი გოგონა, რომლებიც უფრო მეტი რაოდენობის მყიდველს მოიზიდავენ“.

* * *

**ნიგერიაში** გაიმართება ქალაქ ლაგოსის ფედერალური სასამართლოს მორიგი სხდომა, რომელ-



ზეც განიხილავენ ტანკერ „აფრიკან პრაიდის“ ეკიპაჟის წევრი 12 რუსი მეზღვაურის საქმეს. ამ ადამიანებს ბრალად ედებათ ნავთობის კონტრაბანდა. მეზღვაურებს არა აქვთ იმედი, რომ მათ სასამართლოს დარბაზიდანვე გაათავისუფლებენ.

* * *

**ამერიკელ** კონგრესმენს, რომელმაც აღიარა, რომ კორუმპირებულია, შეიძლება 10 წლის ვადის პატიმრობა მიუსაჯონ. 63 წლის



რენდი კენინჰემმა აღიარა, რომ იღებდა ქრთამს ნაღდი ფულით და სხვადასხვა ძვირფასეულობის სახით, რის სანაცვლოდაც იგი თავის კლიენტებს ხელს უწყობდა პენტაგონისგან სარფიანი თავდაცვითი კონტრაქტების მიღებაში. ქრთამის საერთო თანხამ 2,4 მილიონი დოლარი შეადგინა. ახლა კენინჰემს ელის პატიმრობა და ქონების კონფისკაცია. მისი საქმის შესახებ საბოლოო განაჩენს სასამართლო გამოიტანს.

* * *

**ცენტრალური** სადაზვერვო სამმართველოს თვითმფრინავებმა 4 წლის განმავლობაში 55-ჯერ გამოიყენეს კანადის აეროპორტების ასაფრენ-დასაჯდომი ზოლები, იტყობინებოდა კანადური გაზეთი „პრესი“. სავარაუდოდ, ამ თვითმფრინავებით გადაჰყავდათ ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი პირები. გაზეთი იმოწმებს ავიადისპეტჩერთა გამონათქვამებს, თუმცა, კანადის მთავრობას ჯერჯერობით არ შეუძლია ამ ინფორმაციის დადასტურება.




◎ მეცნიერება

# მათემატიკოსნი შემოკრბნენ...

**ეგებ გასაკვირი ჩანდეს, რომ ჩვენს ურთულეს ხანაში ქვეყნის მათემატიკოსები პერიოდულობის დაცვით, ოთხ წელიწადში ერთხელ, ახერხებენ თავიანთი ფორუმის გამართვას. ამას წინათ ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში სამდღიანი მეოთხე ყრილობა მოეწყო, რომლის ინიციატორი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი გახლდათ. მომზადების შრომატევად პროცესში თვალსაჩინო ფიგურა იყო კავშირის სწავლული მდივანი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი კოტე ნინიძე. სწორედ იმას გავესაუბრეთ.**



საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი

საქართველოს მათემატიკოსთა IV ყრილობა

14 — 16 ნოემბერი
2005

მოხსენებათა თეზისები

***— ბატონო კოტე, რამდენად გამოვიდა საქართველოს მათემატიკოსთა ბოლო ყრილობა, მართლაც, საქართველოსი, ანუ როგორი იყო ფორუმის „გეოგრაფია“? ეგებ სხვა მახასიათებლებიც გაგვაცნოთ...***

— შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის რეგიონები ფართოდ იყვნენ წარმოდგენილნი: თბილისელებთან ერთად, მონაწილეთა შორის აღმოჩნდნენ მათემატიკოსები ბათუმიდან, ქუთაისიდან, გორიდან, თელავიდან, დედაუნივერსიტეტის სოხუმისა და ცხინვალის ფილიალებიდან. 20-ზე მეტი კვლევითი თუ სასწავლო დაწესებულების მრავალმა დელეგატმა მეცნიერმა 200-მდე მოხსენება წაიკითხა მათემატიკურ მეცნიერებათა თითქმის ყველა თანამედროვე მიმართულების „დაფარვით“. ეს მოხდა ცხრა სექციაში — მათემატიკური ანალიზით დაწყებული, მათემატიკური განათლებისა და მათემატიკის ისტორიით დამთავრებული.

საგულისყურო გამოდგა მომხსენებელთა „სტატუსური“ მრავალფეროვნება: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრები, აკადემიური ინსტიტუტების თანამშრომლები, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, ხანდაზმულნი თუ ახალგაზრდანი, ასე გასინჯეთ, მაგისტრანტები და სტუდენტებიც კი.

***— ყრილობიდან გამოყოლილი თქვენი ყველაზე მკაფიო შთაბეჭდილებები?***

— ენთუზიაზმი, რომლითაც, არსებული და ყველასათვის ცნობილი სიძნელეების მიუხედავად, ამდენი მათემატიკოსი გამოეხმაურა ყრილობაში მონაწილეობას. ის, რომ ამჟამინდელ საქართველოში ამდენი ვინმე მათემატიკური მეცნიერების ერთგულია თურმე. დამახსომდა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, თორნიკე ქადეიშვილის განცხადება: საზღვარგარეთ ახლა ქართველი ლეგიონერი მათემატიკოსების ნამდვილი ბუმია, ისევე პოპულარული არიან იქაურ მათემატიკოსთა წრეებში, როგორც ერთ დროს ქართველი მოჭადრაკე ქალები საჭადრაკო სამყაროშიო...

***— მათემატიკოსთა კავშირი ალბათ ერთგვარი ანგარიშით წარმოდგა — ყრილობიდან ყრილობამდე გაწეული მუშაობის ირგვლივ...***

— 2001-2005 წლებში მოვაწყეთ კონკურსი კავშირის პრემიების მოსაპოვებლად. ახალგაზრდა მეცნიერთა შორის საუკეთესო ნაშრომისათვის ეს ჯილდო გადაეცა დოქტორ ალეკო მესხს. მათემატიკის პოპულარიზაციისთვის — აკადემიის წევრ-კორესპონდენტს თენგიზ გეგელიას (სიკვდილის შემდგომ).

საქართველოში მათემატიკური ლოგიკის ფუძემდებლის, ლევან გოკიელის 100 წლისთავსა და ანრი პუანკარეს 150 წლისთავს მიეძღვნა კავშირის გაფართოებული სხდომები.

კავშირმა გარკვეული როლი შეასრულა განათლების რეფორმაში — მათემატიკაში მისაღები გამოცდების პროგრამების შედგენით; სასკოლო პროგრამების განხილვაში მონაწილეობითა და კორექტივების შეტანით; სკოლის მასწავლებლებთან თბილისსა და თითქმის ყველა რაიონში შეხვედრების გამართვით; სკოლებში ახალი საათობრივი ბადის შემოღებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავებით (გამოქვეყნდა პრესაში); განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკონსულტაციო საბჭოში მონაწილეობით.

კავშირი ყოველწლიურად ატარებდა მოსწავლეთა მათემატიკურ ოლიმპიადებს და მსოფლიო ოლიმპიადებზე გასაგზავნად არჩევდა და ამზადებდა ქვეყნის ნაკრებ გუნდებს.

***— ყრილობაზე უთუოდ განიხილავდით საორგანიზაციო საკითხებსაც...***

— ახლა მოდაშია სახელების გადარქმევა... გვქონდა მსჯელობა ძველი სახელწოდების დაბრუნების თაობაზე — „საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოება“. კავშირის პრეზიდენტმა, პროფესორმა თეიმურაზ ვეფხვაძემ გადადგომის სურვილი გამოთქვა. პრეზიდენტად პროფესორი ჯონდო შარიქაძე ავირჩიეთ. აგრეთვე არჩეულია სათათბირო-ყრილობებს შორის კავშირის მუშაობის წარსამართავად და კავშირის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, დოქტორი, ერთობ პრესტიჟული ჰუმბოლდტის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი თეიმურაზ ფირაშვილი.

გამომრჩა და დავუმატებ: ინტერნეტში პირველად გაკეთდა ყრილობის ვებ-გვერდი, რომელმაც ეგებ მუდმივმოქმედი ხასიათიც მიიღოს.

**...ჩვენც დავუმატებთ ბატონი კოტეს ნაამბობს: მეხუთე ყრილობა 2009 წელს მოუწევს. სულ გვპირდებიან განახლებულ, ხელახლა დაბადებულ, აყვავებულ საქართველოს — ღმერთმა ქნას, შემდგომი ყრილობა სწორედ ასეთ ქვეყანაში გავმართოთ. ყოველ შემთხვევაში, მონაწილეთა შორის სოხუმიდან და ცხინვალიდან წარმოგზავნილი მათემატიკოსებიც ვიხილოთ...**

**თამაზ ეგანიძე**


## განცხადება

2005 წლის 20 დეკემბერს, 12 სთ-ზე, გაიმართება **სს „დიდუბის წისქვილქარხნის“** აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება აქციონერთა ჯგუფის წარმომადგენლის მოთხოვნის საფუძველზე. კრება გაიმართება მისამართზე: ქ. თბილისი, სტანისლავსკის ქ. № 12.

**დღის წესრიგი:**

**1. დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში და განმარტება სესხის და იპოთეკის პირობების შესახებ;**

**2. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის საკითხის განხილვა.**

აქციონერთა სარეგისტრაციო თარიღად სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნულია 2005 წლის 10 დეკემბერი.

ვინაიდან, საერთო კრება მოწვეულია აქციონერთა ინიციატივით, დღის წესრიგის საკითხებზე სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატს რეკომენდაციები არ გააჩნიათ.

აქციონერებს კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში თავიანთი მონაწილეობის უფლება საქართველოს ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელ რეგისტრატორთან „ეროვნული რეესტრი“, შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 74. ტელ. 29-20-03, 29-91-30.**

**დირექტორატი**

2005 წლის 22 დეკემბერს 12 სთ-ზე ქ. თბილისში ვაჟა ფშაველას გამზ. № 16-ში მოწვეულია **სს „ქალაქმშენის“ აქციონერთა კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „ქალაქმშენის“ ანგარიში 2004 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;
2. 2004 წლის მოგების განაწილების შესახებ;
3. წვრილი აქციონერების კუთვნილი აქციების შემდგომი განკარგვის შესახებ;
4. სს „ქალაქმშენის“ კუთვნილი არასაცხოვრებელი ფართის გაყიდვის შესახებ;
5. სს „ქალაქმშენის“ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
6. სხვადასხვა საკითხები.

**სამეთვალყურეო საბჭო.**

შპს „პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგური“ განიცდის ლიკვიდაციას, დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ **ქ. თბილისი, ვარკეთილის მასივი II მ/რ. კორპ. 28, ბინა 40. ტელეფონი 79-42-89, 899 15-11-25, 899 53-90-94.**

მიმდინარეობს შპს „ჩუღურეთის“ ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მოგვმართონ შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ცაიშის 38, ტელეფონი 877 76-45-98.**

**ლიკვიდატორი მ. მაჩაბელი.**

◎ სულთათანა

# აფხაზეთზე შეყვარებული დიდი მეცნიერის ხსოვნას



**2005 წლის 25 ნოემბერს დილის 3 საათზე შეწყდა დიდი ქართველი მეცნიერის, ეროვნული არქეოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლისა და თავკაცის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ანდრია აფაქიძის სიცოცხლე. მისმა გარდაცვალებამ დიდი გულისტკივილი გამოიწვია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.**

ბატონი ანდრია იყო მსოფლიო სახელის მქონე არქეოლოგი, ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთი პატრიარქი, გამორჩეული პიროვნება და დიდი საზოგადო მოღვაწე. მის სახელს უკავშირდება სრულიად ახალი ეტაპი ქართული არქეოლოგიის განვითარებაში. მისი ხელმძღვანელობით დიდი მცხეთის ტერიტორიაზე და საქართველოს სხვა კუთხეებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მნიშვნელოვნად შეივსო ჩვენი წარმოდგენები საქართველოს ძველ ისტორიაზე.

ბატონ ანდრიას გამორჩეული და მრავალმხრივი ურთიერთობა ჰქონდა თავის საყვარელ აფხაზეთთან, სადაც ის, როგორც არქეოლოგი, დიდხანს მოღვაწეობდა და გაგრაში ძალიან ახლო ნათესავებიც ჰყავდა.

სრულიად განსაკუთრებულია აკადემიკოს ანდრია აფაქიძის ღვაწლი აფხაზეთის არქეოლოგიურ შესწავლაში. მისი ხელმძღვანელობით 1952-1974 წლებში ბიჭვინთაში ითხრებოდა გვიანანტიკური ხანის ქალაქი. ბიჭვინთის არქეოლოგიური გათხრების მონაპოვრები და შედეგები აისახა ანდრია აფაქიძის რედაქტორობით გამოცემულ სამტომეულში: **„დიდი პიტიუნტი“,** რომელიც ჭეშმარიტად არა მარტო ქართული, არამედ ზოგადად არქეოლოგიური მეცნიერების დიდი შენაძენია.

მნიშვნელოვანია ბატონ ანდრიას დამსახურება აფხაზეთის ანტიკური ხანის მეორე ქალაქის დიოსკურიის შესწავლის საქმეშიც. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ 1953 წელს ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით სოხუმის ყურეში პირველად ჩატარდა წყალქვეშა არქეოლოგიური დაზვერვები; მისივე ინიციატივით ჩამოყალიბდა არქეოლოგ-აკვალანგისტთა ჯგუფიც.

აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა აფხაზ კოლეგებს შორის. ისინი ყოველთვის ანგარიშს უწევდნენ და ითვალისწინებდნენ მის აზრს. კარგად არის ცნობილი ბატონ ანდრიას საქმიანი კონტაქტები და გულითადი დამოკიდებულება გამოჩენილ აფხაზ მეცნიერებთან: ზურაბ ანჩაბაძესთან, გიორგი ძიძარიასთან, მიხეილ თრაფშთან, გიორგი შამბასთან და სხვებთან. გამწვავებული ურთიერთობების დროს ბატონი ანდრია ხშირად ჩასულა სოხუმში, მიუღია აფხაზი კოლეგები თბილისში და ხელი შეუწყვია დაძაბულობის განმუხტვისთვის.

ანდრია აფაქიძის თანარედაქტორობითაა გამოცემული თვალსაჩინო აფხაზი არქეოლოგის მიხეილ თრაფშის შრომები. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და ხელშეწყობით არაერთმა აფხაზმა არქეოლოგმა გაიკვალა გზა მეცნიერებაში. დიდია ბატონი ანდრიას ამაგი აფხაზეთიდან დევნილი ქართველი მეცნიერების მიმართ. ის ყოველთვის გვერდში ედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალსა და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიას, რომლის ნამდვილი წევრიც იყო დაარსების დღიდან. ხშირად სტუმრობდა თსუ სოხუმის ფილიალს, დიდად გაახარა ამ უნივერსიტეტში არქეოლოგიის კათედრის გახსნამ. ანდრია აფაქიძე, როგორც ე. თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე, აქტიურად გამოეხმაურა აფხაზეთის დევნილ მეცნიერ-ისტორიკოსთა ინიციატივას — აღედგინათ ამ ორგანიზაციის აფხაზეთის განყოფილება. ის იყო ამ ორგანიზაციისა და მისი პერიოდული ორგანოს სამეცნიერო გამოცემის „საისტორიო ძიებანის“ დიდი გულშემატკივარი.

აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახით ქართულმა მეცნიერებამ, ზოგადად ქართულმა კულტურამ დაკარგა დიდი მეცნიერი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული მამულიშვილი, რომლის კვალიც მარადჟამს წარუშლელი იქნება.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის, ე. თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციისა და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიისა სახელით:**

**რევაზ (ივერი) კაკუბავა, ზურაბ პაპასქირი, ჯონი აფაქიძე, თეიმურაზ მიბჩუანი.**

◎ განათლება

# ...რომ არ ჩამოვრჩეთ მსოფლიოს

**ევროპის საბჭოსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული კონფერენცია სასტუმრო „თორში“ გაიმართა. იგი ბოლონიის პროცესს — ევროპაში ერთიანი განათლების სივრცის შექმნას მიეძღვნა. კონფერენციის თემა იყო:** „ბერგენის კონფერენციის შედეგების მიმოხილვა და ლონდონის 2007 წლის კონფერენციისათვის ბოლონიის პროცესის მიზნებიდან გამომდინარე საქართველოს განათლების სისტემაში ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო გეგმის შემუშავება“. მოხსენება — „ბოლონიის პროცესის მიზნების განხორციელება საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში“ — გააკეთა მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ. ბოლონიის პროცესი ახლად გაწევრიანებული ქვეყნების (კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოსთვის) ხელშეწყობას ითვალისწინებს, აგრეთვე საექსპორტო დახმარებას, გარკვეულ შეჯერებას, თუ რომელ საფეხურზე ვიმყოფებით, როგორია ჩვენი ორიენტირები და სამომავლო გეგმები. მომავალ წელს გაიმართება ძალზე მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც საქართველოში ევროპის საინფორმაციო ცენტრის კონგრესის ჩატარებას შეეხება.

ევროკომისიის დელეგაციის პროექტის მენეჯერმა ოლივერ რაისნერმა კონფერენციაზე წარმოადგინა ევროპის კომისიის პროექტი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროპული სწავლების ცენტრის დაფუძნება“. ერთიან ევროპულ სივრცეში შესასვლელად აუცილებელია, რომ განათლების მისაღებად მეტი ქართველი სტუდენტი გავიდეს საზღვარგარეთ და, პირიქით, რაც შეიძლება მეტი უცხოელი სტუდენტი ჩამოვიდეს სასწავლებლად საქართველოში.

**ნათელა ფაილოძე**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# იგორ გიორგაძე: „ჩვენ გვსურს საქართველო მივიყვანოთ ვადამდელი არჩევნების მდგომარეობამდე“

**(პირველი გვერდიდან)**

**— თქვენ განაცხადეთ, რომ საქართველოს ელის ვადამდელი არჩევნები. როგორ უნდა მოხდეს ეს?**

— ჩვენი გეგმა ძალზე მარტივია: გვსურს გავაერთიანოთ ერი და საქართველო მივიყვანოთ ვადამდელი პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნების მდგომარეობამდე. ამით ვთხოვოთ იმ ბატონებს, რომლებიც ახლა იქ იმყოფებიან, გაათავისუფლონ თავ-თავიანთი კაბინეტები. და ამის გაკეთებას ვაპირებთ ისევე, როგორც ამჟამინდელმა ხელისუფლებამ მიაბრძანა თავის დროზე კაბინეტიდან შევარდნაძე. რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოვიშოროთ თავიდან „ვარდისფერი რეჟიმი“, და მაშინ საქართველოს ყველა აღიქვამს უკვე როგორც სახელმწიფოს და არა რაღაც მარიონეტების თეატრად.

**— თუ შეგიძლიათ დაასახელოთ კონკრეტული ვადები?**

— სიტუაცია უკვე მომწიფდა. ეს შეიძლება მოხდეს ერთი თვის შემდეგ, ან იქნებ — ნახევარი წლის შემდეგაც. მაგრამ ვფიქრობ, რომ 2006 წელი სააკაშვილის და მისი გუნდის ხელისუფლების სათავეში ყოფნის უკანასკნელი წელი იქნება.

**— ხელისუფლებაში მოსვლისთვის საჭიროა ფული. თქვენ გაქვთ იგი?**

— მილიონ 200 ათასი ჩვენი თანამემამულე ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება. ეს მოსახლეობის ყველაზე აქტიური და ქმედუნარიანი ნაწილია. მათ შორის არიან საკმაოდ მნიშვნელოვანი მაგნატებიც, არიან მილიონერები, შეძლებული ადამიანები, რომლებიც მზად არიან დაგვეხმარონ. და ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ ამ დახმარებას. მაგრამ რაც შეეხება პერსონალიებს, ამაზე ლაპარაკისგან თავს შევიკავებ, რადგან ხომ შეიძლება ამ ადამიანებს საფრთხე დაემუქროს? ვიტყვი მხოლოდ ერთს, რამდენი სახსრებიც დაგვჭირდება, იმდენი გვექნება კიდეც.

**— თუ არის ხალხი, რომლებიც თქვენ გამოგყვებიან?**

— „სამართლიანობის“ პარტიაში, რომელიც 2003 წლის ნოემბერში გავატარეთ რეგისტრაციაში, 21 ათასი კაცია გაერთიანებული, მომხრეები კი პარტიას გაცილებით მეტი ჰყავს. „სამართლიანობა“ ერთადერთი პარტიაა, რომელმაც 23 ნოემბერს ქუჩებში გამოიყვანა ხალხი. ესენი იყვნენ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის აქტივისტები. ჩვენ არ ჩამოგვიყვანია ხალხი რაიონებიდან, არ შეგვიკრებია ისინი ბაზრებში, როგორც ამას აკეთებდნენ „ვარდების რევოლუციის“ წინ. პარტიის მოსკოვის წარმომადგენლობის გახსნა კი გახდება გარკვეული ინფორმაციული გარღვევა. როგორც კი რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები რაღაცას წერენ ჩვენზე, ქართული პრესა მაშინვე თარგმნის ამას და აქვეყნებს. იმას, რის თქმასაც ხმამაღლა ვერ ვახერხებთ საქართველოში, ვამბობთ რუსეთში, და, საქართველოში ესმით ჩვენი ნათქვამი.

**— რა ხდება საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ?**



— ეს ჩიხია. საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენ სერიოზულად არ აღგვიქვამენ, ჩვენს ირგვლივ მყოფებთან კი ცუდი ურთიერთობა გვაქვს, არ არის აღდგენილი ტერიტორიული მთლიანობა, გვაქვს სერიოზული პრობლემები ეკონომიკაში, თუმცა, ის ბუკლეტები, რომლებიც გაავრცელეს „ვარდების რევოლუციის“ ორი წლისთავისთვის, 16 მითურ გამარჯვებაზე მოგვითხრობენ. ყველაფერი იქ იწყება აჭარის დაბრუნებით, ეს, უბრალოდ, სასაცილოა. აჭარა კარგა ხნის წინათ დაუბრუნდა საქართველოს და იგი დააბრუნა ასლან აბაშიძის ბაბუამ. ის ბიჭები, რომლებიც თავს მთავრობად ასაღებენ, საიდანღაც მოყვანილი ხალხია, ამ ადამიანებს არა აქვთ იმის შეგნება, თუ რა არის სახელმწიფო, არ გააჩნიათ პრინციპები. ჩვენ მათ „სოროსელებს“ ვუწოდებთ. როგორ შეიძლება, XXI საუკუნეში სისხლისსამართლებრივ-საპროცესო კოდექსის განხილვა, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრას დაბეზღების საფუძველზე! რა დემოკრატიაზე შეიძლება ვილაპარაკოთ მაშინ, როცა განიხილავენ კანონს, რომლის თანახმადაც, სისხლისსამართლებრივ-საპროცესო კოდექსიდან უნდა ამოიღონ აღკვეთის ისეთი ღონისძიებები, როგორიც არის ხელწერილი ქალაქიდან გაუსვლელობის შესახებ ან შინაპატიმრობა. ახლა რას იტყვით მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზაციაზე...

**— თქვენ ამბობდით, რომ გაქვთ საქართველოს გაერთიანების გეგმა.**

— დიახ, მაგრამ ამაზე დეტალურად ვიმსჯელებთ მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. ამ თემას ტაბუ ადევს თვით პარტიის წევრებისთვისაც კი. მისი ხმამაღლა გამოცხადება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ გეგმას განვიხილავთ იმ პირებთან, რომლებთანაც გვსურს მორიგების მიღწევა. სააკაშვილის მიერ გაკეთებული პოპულისტური განცხადებები სოხუმზე მშვიდობიანი ლაშქრობის შესახებ, კიდევ რამდენიმე ათეული წლით გადასწევს ამ პრობლემის მოგვარებას.

**— როგორ შეაფასებდით საქართველოში შექმნილ ეკონომიკურ სიტუაციას?**

— მარტო იმისთვის, რომ საქართველომ აიღოს სტარტი, მას დასჭირდება 3-4 მილიარდი დოლარის ოდენობის ინვესტიციები. იმედი გვაქვს, რომ შევძლებთ დავუმტკიცოთ როგორც რუსეთს, ისე ევროპას და შეერთებულ შტატებს, რომ ჩვენ შეგვიძლია აღმოვფხვრათ კორუფცია, რომელიც ყველაფერს ამუხრუჭებს. მე ვგულისხმობ კორუფციას ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. გულუბრყვილო კაცი არ გეგონოთ. შეგნებული მაქვს, რომ მექრთამეობის მთლიანად აღმოფხვრა შეუძლებელია. ჩვენ დავამყარებთ წესრიგს, რომელიც ინვესტორებს გაუფანტავს შიშს და მათ ეცოდინებათ, რომ ყოველ დაბანდებულ დოლარზე, ისინი სულ ცოტა ორ დოლარ მოგებას მიიღებენ. არავის დახმარებაზე უარს არ ვიტყვი. და კიდევ, ჩვენ გვსურს შევაგნებინოთ საქართველოს მოსახლეობას, რომ არ არის საჭირო ვინმესთან იმეგობრო ვინმეს წინააღმდეგ! დღეს სააკაშვილი მეგობრობს ამერიკასთან რუსეთის წინააღმდეგ. საქმისადმი ასეთი დანაშაულებრივი მიდგომა აღარ იქნება.

**29 ნოემბერი.**
ИЗВЕСТИЯ

◎ კალათბურთი

## ზოგი ვარჯიშობს, ზოგიც იბრძვის

**ვაჟთა XV ეროვნული ჩემპიონატის გუშინდელი პროგრამა „ავიამშენისა“ და „მაქაბის“ მატჩით გაიხსნა.**

ავიატორთა ლიდერებმა ხოშტარიამ და ორმოცაძემ თითქმის მთელი შეხვედრა სათადარიგოთა სკამზე გაატარეს, თუმცა მოედანზე მათი გამოჩენის საჭიროება არც ყოფილა — ნიკოლაძემ, მარკოიშვილმა, ნინიაშვილმა და მათმა პარტნიორებმა უმოწყალოდ დაბომბეს მეტოქის კალათი — 121:57. ერთადერთი მომენტი, როცა ქულათა სხვაობა ერთნიშნამდე შემცირდა, შერმადინის ძალისხმევით, მეორე პერიოდის მიწურულს აღინიშნა — 35:43, თუმცა აქედან მოყოლებული, ფავორიტმა რამდენიმე წუთის განმავლობაში ზედიზედ 27 უპასუხო ქულა მოაგროვა და ბრძოლის ბედიც თავის სასარგებლოდ უპრობლემოდ გადაწყვიტა.

დიდი ვნებათაღელვა ახლდა თან გათამაშების აუტსაიდერთა — ქუთაისისა და სსუ-ს დუელს. რიონისპირელებმა ასე თუ ისე წარმატებით გადაჭრეს სტუდენტთა სნაიპერის თორთლაძის ნეიტრალიზების საკითხი (მან ამჯერად „მხოლოდ“ 25 ქულას მოუყარა თავი) და გაიმარჯვეს კიდეც — 88:81. დადებითი შედეგი მნიშვნელოვანწილად კოღუაშვილმა განაპირობა (30 ქულა), რომელმაც ფარქვეშ პირწმინდად დაჯაბნა თავისი მეურვეები. მას კარგად აუბეს მხარი უკანახაზელებმა — ლოსაბერიძემ, ნიჟარაძემ და ნარსიამ, რაც საკმარისი აღმოჩნდა თამაშის მოსაგებად.

დანარჩენი შედეგები: „აზოტი“ — თსუ „ნიკორა“ 69:71, სტუ — „დინამო“ 94:90.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**



◎ თავსატეხი

# შესანიშნავი შვიდეული

**სკანდალური შემოდგომა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ერთობ წარმომადგენლობითი პრესკონფერენციით გაისტუმრა — ევროპული მივლინებიდან სამშობლოში დაბრუნებულ სფფ-ს პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს მხარს ფედერაციის ბობოლათა სრული შემადგენლობა უმშვენებდა გენერალური მდივნის გრიგოლ ცაავასა და ვიცე-პრეზიდენტების რევაზ არველაძის, გოგი ქავთარაძისა და დიმიტრი რამიშვილის სახით.**



საკითხის აქტუალობამ განსაზღვრა დიალოგის უმთავრესი თემა — ეროვნული ნაკრების ახალი თავკაცის შესახებ მსჯელობა. აი, რა ითქვა შესაძლო კანდიდატურების შესახებ:

**კლაუს ტოპმიოლერი** სავარაუდოდ, ამ დღეებში ჩამოვა თბილისში და მოლაპარაკებები აქვე დაიწყება;

**სრეჩკო კატანეცს** პარალელურად, საუდის არაბეთის ნაკრებში იწვევენ და, თუ ის ვარიანტი ჩაიშალა, მაშინ დაინტერესდება ჩვენი გუნდით;

**ბორა მილუტინოვიჩი** ჯერჯერობით „მუნდიალ-2006“-ის ფინალური რაუნდის ერთ-ერთი მონაწილის გაძლოლას ცდილობს და „ჯვაროსნებს“, საკუთარი სურვილით, მხოლოდ „იმ ფრონტზე“ წარუმატებლობის შემდეგ დაუკავშირდება.

დასახელდა აგრეთვე იმ სპეციალისტთა გვარები, რომლებიც წინასწარ გაცხრილვის შემდეგ შემორჩა სფფ-ს საქაღალდეს. ესენი არიან იოჰან ნეესკენსი, ბენიტო ფლორო, კარლოს ბილარდო და ფრანსისკო მატურანა. მათგან ოპტიმალური კანდიდატურა ფასისა და კვალიფიკაციის მიხედვით, სასურველია მალტის ტურნირამდე შეირჩესო, გამოთქვეს თავიანთი მოსაზრება მასპინძლებმა. ისიც გაჟღერდა, რომ თითოეულ პრეტენდენტს მოეთხოვება საკუთარი კონცეფციის წარმოდგენა, სადაც ერთ-ერთ პუნქტად უნდა ფიგურირებდეს სამუშაო დროის უმეტესი ნაწილის საქართველოში გატარება და, არა ხანმოკლე შეკრებების პერიოდში, როგორც ეს ახლო წარსულში ხდებოდა. რაც შეეხება მომავალი კონტრაქტის ხანგრძლივობას, უპირატესობას ორ შესარჩევ ციკლზე გათვლილ ოთხწლიან ვარიანტს ვანიჭებთო — ესეც გუშინდელი სიტყვები გახლავთ.

ბუნებრივია, უყურადღებოდ არც სფფ-ს დაფინანსების საკითხი დარჩენილა. 10 წლის წინათ მამაჩემი და თემურ ჭყონია მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, — განაცხადა ნოდარ ახალკაცმა. ამჟამად ინტენსიურად ვმუშაობთ „კოკა-კოლასთან“ გლობალური ხელშეკრულების გასაფორმებლად და ვფიქრობ, დეკემბერში ბევრი რამ გაირკვევა. მყარი ფინანსური გარანტიები გაგვაჩნია სახელმწიფოს მხრიდანაც, რაც, სხვათა შორის, ალენ ჟირესის დავალიანების დაფარვაში მონაწილეობასაც გულისხმობს. უკვე შემუშავებულია რამდენიმე სასპონსორო პაკეტი და, ალბათ, ტენდერი გამოავლენს სფფ-ს გენერალური, ვერცხლის და მთავარი სპონსორების ვინაობას.

ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის შედეგების შეჯამებისას აღინიშნა, რომ ცალკეული ხარვეზების მიუხედავად, ამ ეტაპზე თექვსმეტგუნდიანმა ტურნირმა გაამართლა, პერსპექტივაში კი იდეალურად ათგუნდიანი ჩემპიონატი გვესახებაო. სიახლეა სფფ-ს სალიცენზიო კომიტეტში — მას სათავეში ლალი ლობჟანიძე ჩაუდგა, რომელიც უწინ მოსკოვის „ლოკომოტივში“ მოღვაწეობდა.

შვეიცარული ვიზიტის შესახებ საუბრისას ნოდარ ახალკაცმა განაცხადა, რომ „ტოპ-ეგზეკუტივ პროგრამის“ ფარგლებში გამართულ თავყრილობაში ამიერკავკასიის სახელმწიფოებისა და მოლდოვის, ბელორუსიისა და ყაზახეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. დისკუსიისას გამოკვეთილა ის პრობლემები, რომლებიც თითოეული ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობას ახასიათებს: მენეჯმენტი, ურთიერთობა ადგილობრივ სტრუქტურებთან, კომერცია და მარკეტინგი, კომპიუტერიზაცია, პერსონალის კვალიფიკაცია, გრძელვადიანი პრიორიტეტების განსაზღვრა, ბიუჯეტი და მასმედიასთან კონტაქტი. სფფ-ს მზარდ საერთაშორისო ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ უეფას შტაბ-ბინაში მხოლოდ ქართული დელეგაცია მიიწვიეს, სადაც რამდენიმე საათის განმავლობაში უეფას დეპარტამენტების ხელმძღვანელები გვესაუბრებოდნენო, — გვაუწყა სფფ-ს შეფმა.

დავძენთ, რომ 4 დეკემბერს ავლაბრის სტადიონზე ან „ოლიმპის“ სკოლაში დანიშნულია 1990-1991 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა მატჩები — დასავლეთი-აღმოსავლეთი, სადაც თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში 44-44 ფეხბურთელია მიწვეული. ისინი თითო ტაიმს ითამაშებენ და ქართული ფეხბურთის უახლოეს რეზერვს წარმოაჩენენ.

გუშინვე სფფ-ს მესვეურებმა წარმოგვიდგინეს ის დიპლომები, რომლებიც უეფასგან მასობრივი და ინვალიდთა ფეხბურთის განვითარებისთვის დაიმსახურეს.

**გია პლატონიშვილი**

◎ ძალოსნობა

# გამოვლინდა ყველა უძლიერესი

**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ძალოსნობაში ვანო გრიქუროვი წლების განმავლობაში პოლონეთის პატარა ქალაქ ჩეხანოვში მოღვაწეობდა. ამაგდარმა პედაგოგმა ბევრი სიახლე დანერგა საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის საქმიანობაში. სწორედ მისი უშუალო ინიციატივით 2005 წლის ზაფხულიდან თბილისის ძალოსნობის დარბაზში დაიწყო საქართველოს ლიგის თასის გათამაშება, რომელიც 5 ტურად გაიმართა. ახლახან ამავე დარბაზში მოეწყო ფინალური შეჯიბრება, რომელსაც უნდა გამოევლინა თასის მფლობელი სპორტსმენისა და წლის საუკეთესო მწვრთნელის ვინაობა. ორი დღის განმავლობაში ვაკის ძალოსნური დარბაზის ფიცარნაგზე საქართველოს ქალაქებისა და რეგიონების 160 წარმომადგენელი გამოდიოდა.**

საპატიო თასი გადაეცა ვანო გრიქუროვის ჩინებულ აღსაზრდელს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონს ახალგაზრდებს შორის, ცხინვალელ არსენ კასაბიევს. მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად აფხაზეთის წარმომადგენლებმა თეიმურაზ გოგიამ და გია მაჭავარიანმა დაიკავეს. წლევანდელი, 2005 წლის შედეგების მიხედვით გამოირკვა საქართველოში მომუშავე საუკეთესო მწვრთნელთა ვინაობაც. პირველი ადგილი დაიკავა და ფულადი პრემიით დაჯილდოვდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ავთანდილ გახოკიძე (აფხაზეთი). მეორე ადგილი ხვდა ქუთაისელ ძალოსანთა აღმზრდელს გია ცირეკიძეს. მესამე ადგილზეა ჩაქველი პედაგოგი აბესალომ ბასილია.

მაგრამ ამით არ მთავრდება 2005 წლის სპორტული სეზონი, — გვითხრა საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რამაზ გურგენიძემ, — 23-25 დეკემბერს განზრახული გვაქვს, ქუთაისში გავმართოთ ლეგენდარული ქართველი ძალოსნის, სამგზის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის კახი კახიაშვილის სახელობის ტურნირი, რომელშიც უძლიერესი ძალოსნები მიიღებენ მონაწილეობას. 2006 წლის აპრილში პოლონეთში ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება. ქართველ ძალოსანთა კვარტეტი, რომლის შემადგენლობაში არსენ კასაბიევი, გია მაჭავარიანი, გია სამუკაშვილი და ახლახანს რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებული 20 წლის ალბერტ კუზილოვი იქნებიან, ჩეხანოვში ძია ვანოს მეთაურობით გააგრძელებენ წვრთნას. რაც შეეხება საქართველოს გუნდის დანარჩენ მონაწილეებს, ისინი თბილისში ივარჯიშებენ.

**შალვა ძორიძე**



**სერათზე: ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე აჯილდოებს არსენ კასაბიევს.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

◎ სპორტულ ორბიტაზე

## რონალდინიუ — ევროპაში საუკეთესოა

**როგორც ფეხბურთის ორმა ლეგენდამ — პელემ და მარადონამ — წლეულს განაცხადა, მათ რონალდინიუ მიაჩნიათ მსოფლიოს საუკეთესო**



**მოთამაშედ, ხოლო ფეხბურთელთა საერთაშორისო პროფკავშირმა ის წლის საუკეთესო მოთამაშედ გამოაცხადა. შარშანდელი შედეგების მიხედვით კი ახალგაზრდა ბრაზილიელი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.**

ჟურნალი France Footlall ტრადიციულად ყოველწლიურად აწყობს კონკურსს „ოქროს ბურთის“ ლაურეატის წოდებაზე, რაც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელობასაც ნიშნავს.

ორშაბათს პარიზში გამოცხადდა ახალი ლაურეატი წლევანდელი შედეგების მიხედვით — ის გახდა **რონალდო ასსისა დე მორიერა** — ფეხბურთის სამყაროში **რონალდინიუდ** რომ არის ცნობილი. კატალონიის „ბარსელონასა“ და ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველმა 225 ქულა დააგროვა და „ოქროს ბურთის“ 50-ე მფლობელი გახდა.

148-ქულით მეორე ადგილი მოიპოვა ლონდონის „ჩელსის“ ნახევარმცველმა **ფრენკ ლემპარდმა**, მესამე ადგილი 142 ქულით დაისაკუთრა ინგლისის „ლივერპულის“ მცველმა **სტივენ ჯერარდმა**.

ევროპის საუკეთესო ფეხბურთელთა ათეულში აგრეთვე შევიდნენ: **ტიერ ანრი** („არსენალი“ — 41 ქულა), **ანდრეი შევჩენკო** („მილანი“ — 33), **პაოლო მალდინი** („მილანი“ — 23), **ანდრიანო** („ინტერი“ — 22), **ზლატან იბრაგიმოვიჩი** („იუვენტუსი“ — 21), **კაკა** („მილანი“ — 19), **სამუელ ეტოო** („ბარსელონა“ — 18) და **ჯონ ტერი** („ჩელსი“ — 18).

## ერთბაშად ხუთი რეკორდი დაამხო

**ბერძენი სტაიერი იანის კუროსი შორეულ ავსტრალიაში, ისტორიაში პირველად ექვს დღეს დარბოდა — არ შეუშინდა არც დაღლილობას და არც ქარიშხალში მოხვედრისას მიღებულ ტრავმებს.**

სამაგიეროდ ერთბაშად ხუთი მსოფლიო რეკორდი დაამხო:

— 500 კილომეტრზე სირბილში (როგორც საერთო ჩათვლაში, თავისი ასაკობრივ (45-49 წელი) კატეგორიაში.

— 1000 კილომეტრზე სირბილში თავისი ასაკობრივ კატეგორიაში.

— სტადიონზე სირბილის მანძილში (კუროსმა ექვსი დღის განმავლობაში გაირბინა 1036 კმ და 851 მეტრი. რითაც დაამხო ოცი წლის წინანდელი საკუთარი რეკორდი — 1023 კმ და 200 მ.

— გაუჩერებლად სირბილის მაქსიმალურ სიგრძეში (წინა რეკორდის 1988 წლიდან კუროსს ეკუთვნოდა).

— გარბენის აბსოლუტურ სიგრძეში.

მოქანცულობის მიუხედავად, ფინიშის შემდეგ კუროსმა მაინც შეძლო თავისი გამარჯვების აღნიშვნა გულშემატკივრებთან.

„რასაკვირველია, ასეთ მანძილზე სირბილი სიგიჟედ მოგეჩვენებათ“, — თქვა კუროსმა.

ბერძენი მორბენალი ბავშვობიდანვე მიეჩვია გრძელ დისტანციებს. 7 წლისამ დაიწყო დაუჯერებელ დისტანციებზე მარათონი. როგორც იანგარიშეს, კუროსმა თავის სპორტულ კარიერაში გაირბინა მანძილი — მთვარეს დედამიწას რომ აშორებს — თითქმის 385 ათასი კილომეტრი.



◎ ჭადრაკი ოთხშაბათობით

# თბილისმა დააკვალიანა



**თანამედროვეობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო საჭადრაკო კომპოზიტორმა, პირველმა საერთაშორისო დიდოსტატმა (1972), საერთაშორისო ოსტატმა პრაქტიკულ თამაშში (1950), საერთაშორისო არბიტრმა (1956) ჰენრიხ კასპარიანმა (1910-1995) საკავშირო ჩემპიონობა კომპოზიციაში ექვსჯერ მოიპოვა, სამსამჯერ „ვერცხლის“ და „ბრინჯაოს“ მფლობელი გახდა, ოთხჯერ საკავშირო ჩემპიონატების ფინალში ითამაშა.**

ჰ. კასპარიანი სპეციალობით ინჟინერ-მშენებელი იყო. იგი თბილისში დაიბადა და ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი მშობლიურ ქალაქში გაატარა.

25 წლის განმავლობაში კასპარიანმა შეადგინა 125 ეტიუდი, ამათგან 50-მა პრიზები დაიმსახურა, მათ შორის 15 პირველი პრიზით დაჯილდოვდა. ბუნებით მომადლებული ვირტუოზული ტექნიკა და ანალიტიკური აზროვნება აისახა კასპარიანის საკომპოზიციო შემოქმედებაში.

**თამაზ შენგელია**

**კასპარიანი**
**„64“, 1933 წ.**
**I პრიზი**



თეთრები ძალების კონცენტრაციით აღწევენ მოგებას. ამ მხრივ მf5! მომგებიანი სვლაა

**(თუ მf7? ან მd6? მოგება არ არის)**

**1. მf5 g6! 2. მe3 ეd4! 3. კg2 + ! მფf2! 4. მf1 ეh4 + 5. მh2 ეd4! 6. კe1! + მფe2 7. მფg1! ეd1 (შავები იგებენ ფიგურას, მაგრამ შამათდებიან) 8. კf1 მფ:e1 9. მf3X**

**თუ 1. მf7? მფf2 2. კh3 მფg3 3. კf1 მფf2 და მუდმივი თავდასხმაა კუზე.**

**2. მd6? მაშინ 2. ... ეd4 3. მc4 ეh4 + 4. მფg1 ეg4 + 5. მფh2 ეh4 + და (მუდმივი ქიშით).**

**⊙ საეკლესიო კალენდარი**

# წმინდა დიდმოწამე მიქაელი, რომელსაც ნათლისღებით ეწოდა გობრონი და ას ოცდაცამეტნი მხედარნი მისნი

**30 ნოემბერს ქართული სამოციქულო ეკლესია იხსენებს ქართველ მხედარ გობრონს და ას ოცდაცამეტ მის თანამებრძოლს**



**არაბებმა უკანასკნელად 914 წელს დალაშქრეს კავკასია.**

...სარკინოზებმა სცადეს, იერიში მიეტანათ თმოგვის ციხეზე, მაგრამ ვერ აიღეს და უკანგაბრუნებულებმა ყველის ციხეს შემოარტყეს ალყა. ციხე კარგად იყო გამაგრებული, მაგრამ მეციხოვნენი შიგ ცოტანი იყვნენ; მებრძოლებს შორის გამოირჩეოდა ნეტარი გობრონი, რომელიც ერთ-ერთი იერიშის დროს არაბებმა შეიპყრეს. სარკინოზებმა გობრონისა და მისი თანამებროლებისგან მოითხოვეს, რომ ქართველებს უარეყოთ ქრისტიანობა. წმინდა გობრონმა მშვიდად მიუგო: „ხელმწიფეო, ნუ მაიძულებ მე დატოვებად ქრისტეანობისა, რომელთა აღმზარდეს მე მშობელთა ჩემთა და აღბეჭდილ ვარ სულითა წმიდითა"...

წმინდანის პასუხით განრისხებულმა აბულ-კასიმმა (სარდალი) გობრონი დააყენა ცოცხლად დარჩენილ მეგობრებს შორის და... დაიწყო მათი უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა. დახოცილთა სისხლი ეპკურებოდა წმინდანს... მაგრამ გობრონმა სისხლით ჯვარი გამოისახა შუბლზე და თქვა: „გმადლობ შენ, უფალო იესო ქრისტე, რომელმან ღირს მყავ მე, უღირსი ესე და ცოდვილი და უკუანაისკნელი ყოველთაი, ნაწილსა ამას მკვიდრობისასა და მოწამებისასა".

...მოთმინებადაკარგულმა აბულ-კასიმმა ბრძანა, თავი წაეკვეთათ გობრონისათვის და მოკლულებთან ერთად ჩაეყარათ საფლავში... ქრისტიანებიც და ურწმუნოებიც ღამლამობით ხედავდნენ, თუ როგორ ადგებოდა მათ საფლავებს ზეციური ნათელი.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

**⊙ თითქმის ნატურიდან**

# უღირსი ორდენი?

**არქიფომ, როგორც ყოველთვის, იმ საღამოსაც ძაღლები ვაკის პარკში წაიყვანა სასეირნოდ. ძაღლებმა იქაურობა მიირბინ-მოირბინეს, ძველ ნაცნობებთან ერთად ინავარდეს და მანამდე არ დაოკდნენ, ვიდრე პატრონიც არ დააოსეს. არქიფომ რაღაც მომენტში დრო იხელთა და გრძელ სკამზე, რომელიც ქალაქის მერის განკარგულებით ორი კვირის წინათ შეღებეს, პენსიონერებთან ერთად ჩამოჯდა.**

— ვა, რა მაგარი ძაღლები გყოლია, — შეაქეს დამხდურებმა.

— მა როგორ, — შეიფერა არქიფომ, — მაგრები რომ არ იყვნენ, ამდენი მედლები კი არ ექნებოდათ.

— რა ჰქვიათ? — დაინტერესდა ყურებზე ქუდჩამოფხატული პენსიონერი.

— ერთს ბროლია, მეორეს — იუპიტერა.

— ბროლია რომელია?

— აი ეს, ენაგადმოგდებული, შვიდი მედალი აქვს, მაგრამ ტარება უჭირს და სამზე მეტს არა ვკიდებ.

— გაუჭირდება აბა რა, დასუსტებულია, არაფერს აჭმევ?

— როგორ არა, სალაფავს ვაძლევ, მაგრამ არ ჰყოფნის.

— რაღა დროს სალაფავია, ძმაო, — ტუჩი აიბზუა ჭორფლიანმა მოხუცმა, — ახლა ძაღლებს ყველა პედიგრით კვებავს.

— პედიგრს იუპიტერა მიირთმევს.

— ამიტომაც იყურება ბულასავით, — მოიწონა ელამმა პენსიონერმა.

— კი მაგრამ, რის მიხედვით კვებავ განსხვავებულად? — იკითხა ჯოხზე დაყრდნობილმა მოხუცმა.

— დამსახურების მიხედვით.

— აბა, ელაპარაკე ამას, — გული მოუვიდა შლაპიან პენსიონერს, — ძაღლი და დამსახურება სად გაგონილა, რომელი პოლიტიკოსი ესა მყავს?

— აუცილებელი კი არ არის დეპუტატი იყოს და უმრავლესობის პოზიცია ეკავოს, — განმარტა არქიფომ, — ბროლიას ვარდების რევოლუციამდე აქვს მიღებული მედლები, იუპიტერას კი — რევოლუციის შემდეგ.

— მერე, კაცო, არა გრცხვენია, — განერვიულდა ელამი, — ადამიანები რომ დაყვეს რევოლუციების მიხედვით, ის არ გვეყოფა, ახლა კიდევ ძაღლებიც არ მივამატოთ?

— შენა, ძმაო, რა ჩვენი მთავრობასავით ლაპარაკობ, — შეუტია ჭორფლიანმაც, — ეგეც მასე იქცევა, ზოგს ათასები ჩამოურიგა, ზოგი კი მშიერი დატოვა.

— მაგას თავი გაანებე, — კამათში ჩაერთო ცალთვალა პენსიონერი, — ადამიანს კიდევ რაღაცას აუხსნი, მაგრამ ძაღლს რევოლუციისა რა გაეგება!



— მე, მაგალითად, ამიხსნეს, — თქვა სკამის კიდეში მჯდომმა მოხუცმა, — რომ...

— რა აგიხსნეს?

— მისცვივდნენ აქეთ-იქიდან.

— ღირსების ორდენი კი გაქვს მიღებული, მაგრამ მაგის ფული რომ გეკუთვნის, ვერ მოგცემთო.

— აბა ვის ვაძლევთო?

— მარტო იმათ, ვინც ვარდების რევოლუციის მერე დაიმშვენა მკერდი მაგ ორდენითო.

— რატომაო?

— იმიტომ, რომ წინა მთავრობა უღირსი იყო და მათ მიერ გაცემული ორდენებიც უღირსიაო.

— მასე, კაცო, ახალი მთავრობა რომ მოვა, იმასაც შეუძლია თქვას ამათზე — უღირსები იყვნენო.

— ჰოდა დარჩა ეს ღირსების ორდენოსანი კაცი უღირსი მთავრობის ხელში უფულოდ, — დასძინა ყურებზე ქუდჩამოფხატულმა პენსიონერმა.

— მაგ რევოლუციის წყალობით ამან ორდენის ფული დაკარგა და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებმა კიდევ სამუშაო, — მხარი აუბეს დანარჩენებმა.

— იმათ რაღატომ?

— კომუნისტურ ეპოქაში ახალგაზრდობას მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით ტვინს ულაყებდითო.

— მაგრამ ამ ოხერ მარქსიზმს ძაღლებიც ხომ არ იზუთხავდნენ? — ისროლა არქიფოს მისამართით რომელიღაც პენსიონერმა.

— აბა, კაცო, ეს რომ ელენე თევდორაძემ შეიტყოს, არ გაგიჟდება? ის არ ეყოფა, ქვეყანაში პატიმრების უფლებები რომ ირღვევა, ახლა ძაღლებისა არ დაემატოს!

— ძაღლები ჯანდაბას, ეს რომ ევროპარლამენტში გაიგონ, ნატოში შესასვლელი კარი სამუდამოდ ჩაგვერაზება.

არქიფომ იფიქრა, რაიმე შარში არ გამხვიონო და ბაღიდან უჩუმრად გაიძურწა. შინ რომ მივიდა, მთავრობაში გასაგზავნი წერილი გააშანშალა — იუპიტერას საქმე გარკვეულია, მაგრამ ბროლიაზე მეჭიდება, მითხარით, როგორ მოვიქცეო. დაელოდება, თუ უარყოფითი პასუხი მიიღო, ბროლიას შეიძლება სალაფავიც შეუწყვიტოს.

**ოთარ ხუციშვილი**

**⊙ კრიმინალი**

# მკვლელობაში ეჭვმიტანილი დადგენილია



„ჭიჭყინას" ფოტორობოტი

**შს სამინისტრომ ჯაბა ღვალიძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დაადგინა.**

**როგორც შს სამინისტროს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სამმართველოს უფროსმა ბადრი ღვინჯილიამ გუშინ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, ფაქტობრივად, დადგენილია, რომ დანაშაული ვინმე ირაკლი თვალავაძემ, მეტსახელად „ჭიჭყინამ" ჩაიდინა.**

**ღვინჯილიას განცხადებით, ეჭვმიტანილი ამჟამად იმალება. მისი ადგილსამყოფლის დასადგენად აქტიური მუშაობა მიმდინარეობს.**

**ეჭვმიტანილზე გამოცხადდა ძებნა და სამართალდამცავები იმედოვნებენ, რომ საზოგადოების დახმარებით თვალავაძის დაკავება უახლოეს მომავალში მოხერხდება.**

გუშინწინ, დაახლოებით 17:30 საათზე დიღმის მასივის პირველი კვარტლის მეექვსე კორპუსთან მკვლელობა მოხდა. დაუდგენელმა პირებმა 25 წლის ჯაბა ღვალიძე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს. მას სხეულზე რამდენიმე ჭრილობა აღენიშნება, მათ შორის თავის არეში საკონტროლო გასროლაც. ღვალიძე ადგილზე გარდაიცვალა.

თვითმხილველები აცხადებდნენ, რომ სროლა ავტომანქანიდან მოხდა. მათი თქმით, ნაპოვნია შავი ფერის „ბმვ", რომელიც, სავარაუდოდ, გარდაცვლილს უნდა ეკუთვნოდეს. საქმეში ფიგურირებს მეორე ავტომანქანაც, რომლის მარკა, ჯერჯერობით, დაუდგენელია და რომელიც თავდამსხმელების საკუთრება უნდა იყოს.



შემთხვევის ადგილზე კრიმინალისტიკურ ექსპერტთა სპეციალური ჯგუფი მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდა. მათ ტყვიის მასრები და გულები ამოიღეს.

**ლელა მანაშვილი**

**⊙ აქცია**

## აეროპორტის დასახლებას ყაჩაღები შეესივნენ

**აეროპორტის დასახლების მცხოვრებლებმა, დასახლებაში უსაფრთხოების ზომების გაძლიერების მოთხოვნით, გუშინ „საქაერონავიგაციის" შენობასთან აქცია გამართეს.**

აქციის მონაწილეთა განცხადებით, დასახლებაში გართულდა კრიმინოგენური ვითარება. ხშირია ბინების გაქურდვისა და ძარცვის ფაქტები, სახიფათო გახდა ღამის საათებში ქუჩაში გადაადგილება.

"მოვითხოვთ ყურადღებას ხელისუფლებისგან. აუცილებელია, აეროპორტის დასახლებაში საპატრულო



პოლიციის ჯგუფების მოძრაობის ინტენსივობა გაიზარდოს ან სხვა გზით დამყარდეს წესრიგი, რათა ცოტა ხნის წინ „საქაერონავიგაციაში" მომხდარი ფაქტის მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდეს", - განუცხადა ინტერპრესნიუსს ავიამუშაკთა პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილემ თეიმურაზ მეფარიძემ.

22 ნოემბერს ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად სამართალდამცველებმა დააკავეს გიორგი ჩაჩავა, არტენ აშორტია, ბორის იაკუბოვი და ჰამლეტ ბაგდასარიანი, რომლებიც, ბრალდების თანახმად, „საქაერონავიგაციის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს გიორგი კარბელაშვილს 100 ათას დოლარამდე თანხას სძალავდნენ, გადაუხდელობის შემთხვევაში კი „საქაერონავიგაციის" აფეთქებით იმუქრებოდნენ.

**ინტერპრესნიუსი**

# ქრონოგრაფი

## 1 დეკემბერი, 1990 წელი



**უკანასკნელი წინააღმდეგობაც გადალახეს და ლეგენდარულ გვირაბში ლა-მანშის სრუტის ქვეშ ერთმანეთს შეხვდნენ ფრანგი ფილიპ კოზეტი და ინგლისელი გრეხემ ფაგი.** მათ შამპანურით დალოცეს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გრძელი გვირაბის გახსნა, რომელიც წყლის ქვეშ გრუნტშია გაყვანილი. ლა-მანშის გვირაბის საერთო სიგრძე 50 კილომეტრია, აქედან 38 კილომეტრი წყალქვეშაა გრუნტის ქვეშ 45 მეტრ სიღრმეზე. გვირაბის მშენებლობა 16 მილიარდი ევრო დაჯდა, მაგრამ დღესდღეობით მას მოგება არ მოუტანია. ფასები გვირაბში ტვირთის გადატანასა და მგზავრობაზე ერთი-ორჯერ აღემატება ანალოგიურ გვირაბთა ტარიფებს, ამიტომაც კლიენტები ძველებურ საბორნე და საზღვაო გზებს ამჯობინებენ.

## 2 დეკემბერი, 1805 წელი



**ვენის ჩრდილოეთით ასი კილომეტრის დაშორებით სოფელ აუსტერლიცთან მოხდა ერთ-ერთი უდიდესი ომის მსვლელობაში გადამწყვეტი ბრძოლა ავსტრია-რუსეთის კოალიციურ და საფრანგეთის ჯარებს შორის.** მიუხედავად რიცხობრივი სიმცირისა (ამ ბრძოლაში ფრანგებს 73 ათასი ჯარისკაცი ჰყავდათ, ხოლო კოალიციის ჯარებში 86 ათასი ჯარისკაცი იყო) ფრანგებმა საშინელი მარცხი აგემეს მოწინააღმდეგეს. რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის ზეწოლით რუსეთ-ავსტრიის შენაერთის სარდალი მ. კუტუზოვი იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა გამოუცდელ ავსტრიელ გენერალს ვეიროტერს, რამაც ნაპოლეონს საშუალება მისცა ბრძოლის სასწორი თავის სასარგებლოდ გადაეხარა.

## 3 დეკემბერი, 1308 წელი



**არაგონის მთავარი ინკვიზატორის ლოტეროს ბრძანებით ვალენსიის მონასტერში თავი მოუყარეს ყველა ტამპლიერს, რათა სარწმუნოებაზე გამოეცადათ ისინი.** ტამპლიერთა სასულიერო-რაინდთა ორდენი 1118-1119 წლებში შეიქმნა იერუსალიმში. კათოლიკე რაინდები — ტამპლიერთა ორდენის წევრები — ცხოვრობდნენ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოში და მათ შორის კუნძულ კვიპროსზეც. ტამპლიერებმა უზარმაზარი ქონება დააგროვეს ჯვაროსნულ ომებში, ისინი განაგებდნენ დიდ სახელმწიფოთა ფინანსურ შემოსავლებს, რამაც მათ წინააღმდეგ სამტროდ განაწყო საერო და სასულიერო ხელისუფლება. ტამპლიერთა წინააღმდეგ პირველმა გაილაშქრა საფრანგეთის მეფე ფილიპე IV. 1307 წელს მან სიკვდილით დასაჯა ტამპლიერი რაინდები, რომლებიც ერესში ამხილა. ამ დღიდან რაინდების წინააღმდეგ გამოსვლები მთელ ევროპას მოედო. 1312 წელს რომის პაპმა კლიმენტი V ტამპლიერთა ორდენი გააუქმა და მთელი მათი ქონება გოსპიტალიერთა ორდენს, თავის მომხრეებს გადასცა.

## 4 დეკემბერი, 1969 წელი



**ამერიკის პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა, ვიცე-პრეზიდენტმა სპირო აგნიუმ და ორმოცმა გუბერნატორმა რამდენიმე საათი დაუთმეს დასვენების მეტად ორიგინალურ სახეს — ისინი უყურებდნენ ფილმებს „ნარკოტიკების ზეგავლენის ქვეშ მყოფებზე" და უსმენდნენ როკ-მუსიკას.** ამგვარი ხერხით მათ სცადეს ახალგაზრდობის სულიერ სამყაროში შეეღწიათ და მათთან ურთიერთობის გზები დაესახათ. ამ აქციით სურდათ მოეგვარებინათ „მამათა და შვილთა" შორის „ომის" მარადიული პრობლემა. 60-იან წლებში წამოწყებულ ჰიპთა მოძრაობას მრავალი ახალგაზრდა შეუერთდა ამერიკის და არამარტო ამ ქვეყნის შეძლებული და გავლენიანი ოჯახებიდან. ეს ნამდვილი ამბოხი იყო — ახალგაზრდების სულიერი რევოლუცია მსოფლიო მასშტაბით. რამდენიმე წელიწადში ჰიპთა მოძრაობა თავისთავად შენელდა და პროტესტის სხვა ფორმაში გადავიდა.

**⊙ გვემრავლოს!**

# მომავალი მოდის!

— **ორმოცდათოთხმეტმა** ოჯახმა პირველი შვილის შეძენით გაიხარა, ორმოცდამეთხუთმეტემ კი მესამეთი, — ასეთი ინფორმაცია მოგვცა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლიდან უფროსმა მედდამ ეთერ ტიტვინიძემ, — ნოემბრის თვის 24 დღეში ჩვენთან 55 ბავშვი დაიბადა, უფრო მეტი თბილისელია. არიან რაიონებიდანაც: პირველი შვილის დედებია გურანდა გოგოლიშვილი (დედოფლისწყაროდან), იამზე ოქრუაშვილი (მცხეთიდან) და ია მთივლიშვილი (გურჯაანიდან), ოქროყანელ ია ტუღუში-მებაღიშვილს კი ოჯახის გვარის გამგრძელებელი მესამე შვილი შეეძინა.



ამ სამშობიარო სახლში მშობიარობა უფასოა. ახალმომშობიარებულთ სამედიცინო კოლექტივის დახმარება არ აკლიათ. ისინი ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელნი არიან, ამბობენ, უფალი რამდენსაც ინებებს, იმდენ შვილს გავაჩენთო.

დაგვილოცნია ამ სამშობიარო სახლში დაბადებული 55-ვე ჯანსაღი გოგო-ბიჭის მომავალი.

**ნათელა ფაილოძე**

**ჩვენი ტელეფონებია:
93-34-04; 99-73-24.**

**⊙ ანეკდოტები...**

— **როგორ** გაიცანი შენი ცოლი?
— შემთხვევით. ვერავის დავადანაშაულებ.

* * *

— **ქალიშვილო,** რომელი ცხოველის წელიწადში ხართ დაბადებული?
— ცხვრისა.
— ცხენივით კი გამოიყურებით და...

* * *



**მიხო** ექიმთან მივიდა და ეწუწუნება, რომ 17 წელიწადია, ვერაფერი მოუხერხა თავის ტკივილს. ექიმმა გადახედა ავადმყოფობის ისტორიას, ნახა, რომ მის პაციენტს ყველა შესაძლო პრეპარატი ჰქონდა მიღებული და მიხოს მიუბრუნდა:

— აბა, მეტი რა წამალი გამოგიწეროთ. თუმცა, იცით რა, როდესაც თავი მტკივა, ჩემი ცოლი შემყავს სააბაზანოში და მასთან ისე ვსიყვარულობ, რომ ყველაფერი დამავიწყდეს. თქვენც იგივე სცადეთ...

გარკვეული დროის შემდეგ ისინი კვლავ ხვდებიან ერთმანეთს და ექიმი ინტერესდება პაციენტის მდგომარეობით.

— შესანიშნავად ვგრძნობ თავს, 17 წელი როგორ ტყუილად მიწვალია, ახლა კი საოცრება მოხდა...

— ესე იგი, ცუდი რჩევა არ მომიცია.

— მართლაც ასეა, ექიმო. თქვენ შესანიშნავი ცოლი გყავთ!

* * *

**კვდება** მიხო. დაიბარა სამივე ვაჟი. ძველი ცოცხი მომიტანეთო, ითხოვა. მიუტანეს. გადატეხა მომაკვდავმა ცოცხი და, — გაიგეთო? — ჰკითხა შვილებს.

— ვერაფერი გავიგეთო, — უპასუხეს შვილებმა.

— ფაფუ, თქვენი მემკვიდრეობა, შვილებო, ფაფუ!

* * *

**ლეიტენანტი** კურსანტს ნამუშევარს უწუნებს და ეჩხუბება:

— თქვენ რა, ამხანაგო კურსანტო, ასეთი არასწორი ხაზები რომ გაგივლიათ, დალტონიკი ხართ?

**ლარის კურსი**

**30 ნოემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,0897 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7900 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1175 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0623 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3896 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,3927 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5512 ლარი. |

**გამოიწერეთ**

სანდო, მართალი და ტრადიციული გაზეთი «საქართველოს რესპუბლიკა»

მიმართეთ „საქპრესას" (ტელ: 35.51.40), „მაცნეს" (37.40.49), „უწყებანს" (93.64.72), „პრეს-ექსპრესს" (96.23.11), „პლანეტა-ფორტეს" (93.38.73), „ინფოსერვისს" (34.09.35), „ელვა-სერვისს" (36.35.75) რაიონებსა და ქალაქებში — „საქპრესის" ადგილობრივ განყოფილებებს.

ძვირფასო მკითხველებო, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, რედაქციამ გაითვალისწინა თქვენი შესაძლებლობებიც და, კვლავ თქვენი თანადგომის იმედით, არ გაზარდა გაზეთის ფასი — მისი ერთი ეგზემპლარის ღირებულება კვლავაც 50 თეთრია.



ამდენად, გაზეთის გამოწერა ეღირება: ერთი თვით — 13 ლარი, სამი თვით — 39 ლარი, 6 თვით — 78 ლარი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა" — მუდამ თქვენი თანამდგომი, სიხარულისა თუ ჭირ-ვარამის გამზიარებელი გაზეთი!

**გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაშიც. კოსტავას ქ. № 14, IV სართული. ტელ: 98.96.32; გაზეთის ინდექსი: 66434.**

**⊙ იყიდეთ!**

**გამოვიდა ახალი წიგნი ეროვნულ-პატრიოტულ თემაზე: „კულტურული საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში (ქართული თვითმოქმედი საზოგადოებები)", ავტორი ლამარა გოდერიძე.**

**იყიდება მაღაზია „საუნჯეში" (რუსთაველის, 28).**



მეუღლე თამარ ვარლამიშვილი, შვილები ირინე, ლევანი, სოფიკო, შვილიშვილები გიორგი, ლიზიკო, მიშიკო, ნატა, სიძეები შალვა ბებოშვილი, ლადო ამირანაშვილი იუწყებიან

ვასილ ისაკის ძე იმერლიშვილის

გარდაცვალებას

პანაშვიდი 29, 30 XI, 16 სთ. დაკრძალვა 1 XII, 14 სთ. ალ. ყაზბეგის გამზ. 29/2.



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება რომ, გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქართველი არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

ანდრია აფაქიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ისტორიკოსთა ნაციონალური კომიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის წყაროების კომისია და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიის კათედრა იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, არქეოლოგიური მეცნიერების პატრიარქი აკადემიკოსი

ანდრია აფაქიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**შპს „პრემიერკომპანი"-ს (რეგისტრაციის № 06/4-976) პარტნიორის გადაწყვეტილებით მიმდინარეობს საზოგადოების ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ლიკვიდატორს ნიკოლოზ ყანდიაშვილს. მის: ქ. თბილისი, ქიაჩელის ქ. № 4; ტელ: 999433.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთ. რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.